ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ილია ბერიძე

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.
ასოცირებული პროფესორი **რამაზ ფუტკარაძე**

თბილისი 2019

ანოტაცია

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის უახლესი ისტორია, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის, იწყება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, თურქეთი იყო ერთ ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და მას შემდეგ სერიოზულად ღრმავდება ორმხრივი ურთიერთობები სხვადასხვა მიმართულებით. დღესდღეობით კი თურქეთი სტრატეგიული პარტნიორია საქართველოსთვის.

ვინაიდან თურქეთი იყო და არის აღნიშნულ პერიოდში ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, როგორც ეკონომიკურად ისე პოლიტიკურად, საჭიროა აღიწეროს ამ პერიოდის მოვლენები, მისი ისტორიულ თეორიული ასპექტები, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ნორმატიული ბაზა, ჩემი თემაც სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ისახავს მიზნად, კერძოდ კი - უახლესი პერიოდის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღწერას ეხება საქართველოსა და თურქეთს შორის.

თემა სამ ნაწილადაა დაყოფილი, დასაწყისში მიმოვიხილავ ისტორიულ თეორიულ ასპექტებს საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობებისას, აღნიშნული ურთიერთობების ნორმატიულ სამართლებრივ ბაზას, შემდეგ დღევანდელ მდგომარეობას აღვწერ და ბოლოს სამომავლო გამოწვევებზე ვისაუბრებ.

Annotation

Ilia Beridze

Georgian-Turkish trade economic relations after the restoration of independence

The latest history of Georgia-Turkey relations as an independent entities, begins after the collapse of the Soviet Union, Turkey was one of the first states that recognized Georgia's independence and deeply deepened bilateral relations in different directions.

Nowadays Turkey is a strategic partner for Georgia. Since Turkey was and is an important for our country as an economically and politically, it is necessary to describe the events of that period, Its historical and theoretical aspects, the normative base of trade-economic relations, moreover, my theme is aimed at fulfilling that task, namely the description of ,,the latest trade-economic relations between Georgia and Turkey''.

The theme is divided into three parts, beginning with a historical review of theoretical aspects of Georgia-Turkey trade and economic relations, normative base of trade-economic relations, and the following with the current states, and at the end future prospects .

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიულ თეორიული ასპექტები. 8

I.1 საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თეორიული ანალიზი 20

I.2 საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ნორმატიულ სამართლებრივი ბაზა 25

თავი II. თურქეთის ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა 33

II. 1 საქართველოს მაკროეკონომიკული მაჩვენებლები 46

II. 2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 61

II. 3 საქართველო თურქეთის თანამშრომლობა ენერგეტიკულ სფეროში 67

II. 4 თურქეთ-აფხაზეთის ურთიერთობა 60

თავი III. საქართველო თურქეთის თანამშრომლობის გამოწვევები 75

დასკვნა . 79

გამოყენებული ლიტერატურა 81

შესავალი

თემის აქტუალობა: XX საუკუნის 90 იან წლებში მსოფლიოში მოხდა დიდი გეო ეკონომიკური მოვლენა, დაიშალა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საქართველოც ამ რესპუბლიკებს შორის აღმოჩნდა. აღნიშნულმა პროცესმა გამოიწვია ის, რომ საქართველო გახდა მსოფლიო საბაზრო მეურნეობის ნაწილი, რომელიც იზღუდებოდა საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს. ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს როგორც დამოუკიდებელი ერთეულის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან და მათ შორის თურქეთთან, აღნიშნულის გამოხატულება არის ის, რომ თურქეთი იყო იმ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და იმ დროიდან მოყოლებული დღემდე უფრო და უფრო ღრმავდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, სრულდება რეგიონალური დონის სავაჭრო-ეკონომიკური პროექტები, საფუძველი ეყრება, ახალი, დიდი სატრანზიტო პროექტების განხორციელებას ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე წინამდებარე თემა დღესდღეობით მეტად აქტუალურია.

მიზანი: საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღწერა, დახასიათება 1990 იანი წლებიდან დღემდე, ექსპორტ-იმპორტის ცვალებადობის, მთლიან შიდა პროდუქტზე მისი გავლენის და სხვა ეკონომიკური ინდიკატორების განსაზღვრა, საქართველოს პერსპექტივიდან, თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა, ასევე საქართველოსა და თურქეთის სამომავლო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, სამომავლო პერსპექტივებზე აქცენტების დასმა.

იმისათვის, რომ წინამდებარე თემის ფარგლებში ჩამოყალიბებული მიზნები მიღწეულ იქნას, აუცილებელია გადაწყდეს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1) დასაწყისში დავახასიათოთ საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების წარსული მდგომარეობა.

2) განვსაზღვროთ აღნიშნული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ტენდენციები.

3) ჩამოვაყალიბოთ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ თუ რა თეორიები არსებობდა, სხვადასხვა ეპოქაში.

4) თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა მსოფლიოსთან

5) გამოვავლინოთ საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სამომავლო გამოწვევები.

ზემოთ აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ინფორმაციის შეგროვება, დაჯგუფება, ანალიზი და მათ საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება

კვლევის მეთოდები: თემაში გამოყენებულია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო მასალა, პუბლიკაცია, სტატია, სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტები, ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი ხელშეკრულებები, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი ისტორიული მასალები. კვლევის მეთოდად გამოყენებულია ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, იმის შესახებ თუ რა ცვალებადობით მიმდინარეობდა საკვლევ პერიოდში საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა იმ ტენდეციების გამოვლენა, რომელიც შეინიშნებოდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში და ბოლოს სამომავლო პერსპექტივების დასახვა.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა: საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ მრავალი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის ნაშრომია გამოქვეყნებული, მაგრამ ისინი უპირატესად ისტორიული ხასიათის გამოკვლევებს წარმოადგენენ. ამ მხრივ აღსანიშნავია პაატა გუგუშვილის, დ. კაციტაძის, რ. კაშიას, თ ბერაძის, შ. ლომსაძის, გ. ჭიჭინაძის და სხვათა დამსახურებანი. რაც შეეხება საქართველო-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის არსებულ მდგომარეობასა და ამ ურთიერთობათა შემდგომი

გაღრმავების პერსპექტივებს, ეს პრობლემები სპეციალური კვლევის საგანი იყო 1998 წლის დისერტაცია შესრულებული დავით ქათამაძის მიერ, ასევე 2016 წლის, სალომე თვალოძის გამოკვლევა საქართველოსა და თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებზე. ასევე სხვადასხვა კვლევები არსებობს საქართველო-თურქეთის ურთიერთობების, კონკრეტულ საკითხებში, მაგ: 2011 წლის ,,ლიბერალური აკადემიის'' კვლევა, 2007 წლის ,,თურქეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულები'' შესახებ.

თავი I

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიულ თეორიული ასპექტები.

საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უკეთ დასანახად საჭიროა მათი ისტორიულ ჭრილში აღწერა, ის თუ რამდენად მყარი და მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ურთიერთობები ორივე მხარისთვის, თუ რა ტენდენციებით ხასიათდებოდა იგი.

საქართველოსა და თურქეთს შორის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიურად გაღრმავდა XVI-XIX საუკუნეებში. საქართველოს და თურქეთს შორის სავაჭრო კავშირ-ურთიერთობათა გაღრმავებას ხელს უწყობდა ამ ორი ქვეყნის ტერიტორიული სიახლოვე.

საქართველოს თურქეთთან ვაჭრობდა, როგორც ზღვის საშუალებით, ისე ხმელეთითაც. სავაჭრო ,,ტრასა'' ძირითადად შემოდიოდა სამცხიდან, ხოლო საზღვაო კავშირები მყარდებოდა ფოთის ნავსადგურის მეშვეობით. [1]

საქართველოში სახმელეთო გზით თურქეთიდან შემოჰქონდათ უნაგირები, ცხენის შესაკაზმავი მოწყობილობა, ხმლები, ხანჯლები, თურქული ზანდუკები. კონსტანტინოპოლიდან ოდიშში შემოდიოდა ხალიჩები, საბნები, თურქული ტყავები, მშვილდ-ისრები, შალი, მაუდი, რკინა, თითბერის ქვაბები, მატყლი, თევზი, ტილო, დანები მარილი, ბრინჯი, შაქარი, პილპილი.

საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ორმხრივი ხასიათისა იყო. საქართველოში მზადდებოდა მთელი რიგი საქონელი. რომელიც იგზავნებოდა საექსპორტოდ თურქეთში.

საქართველოდან თურქეთში ექსპორტის სახით გაჰქონდათ კანაფი, თაფლი, ცვილი, სელის ძაფი, ხამი აბრეშუმი, ხარის, კვერნის და წავის ტყავები, სელის თესლი.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირები მყარდებოდა გონიოს მხრიდანაც. ქართლის აბრეშუმი საექსპორტოდ იგზავნებოდა ოსმალეთში, ერზრუმსა და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც აბრეშუმი უმაღლეს დონზე გადამუშავდებოდა,

შემდეგ კი იგი ფართო გასაღების საქონელი იყო ადგილობრივ ბაზრებზე. საქართველოდან თურქეთში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ბზის ხეები, რითაც დიდი მოგებას იღებდნენ, დიდი სარგებლობა მოჰქონდა აგრეთვე ქართული თაფლით ვაჭრობასაც. ქართული თაფლი ოდითგანვე იყო ცნობილი თავისი საუკეთესო თვისებებით. ქართულ თაფლს ძლიერ ეტანებოდნენ კონსტანტინოპოლში, მას დიდი რაოდენობით იძენდნენ, როგორც სავაჭრო საქონელს და დიდი მოგებით ყიდდნენ თურქეთში. ამ დროს საქართველოდან თურქეთში გატანილი საქონელი თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა საქონლის ადგილობრივი წარმოებისთვის გადახდილ თანხას.

საქართველოსა და თურქეთს შორის გავრცელებული იყო ტყვეებით ვაჭრობა. თურქი ვაჭრები თავიანთ საქონელს ქართველ ტყვეებზე ცვლიდნენ, რითაც დიდ მოგებას ნახულობდნენ თურქეთის ბაზარზე. თურქეთში ყოველწლიურად 3000 ქართველი ტყვე იცვლებოდა სხვადასხვა იმპორტულ საქონელზე. ტყვეებით ვაჭრობა დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით XVII საუკუნიდან მომძლავრდა.

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს ქალაქებს შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა ქუთაისს, სადაც თავს იყრიდნენ თურქეთიდან ჩამოსული ვაჭრები. ამ დროს სამეგრელოს მთავრები ცდილობდნენ თურქეთიდან სამეგრელოში საცხოვრებლად

ჩამოეყვანათ თურქი ვაჭრები. სამეგრელოს ვაჭრებს სჯეროდათ, რომ აბრეშუმით ვაჭრობა სარფიანი იქნებოდა თურქეთში.

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში მრავლად ჩამოდიოდნენ თურქი ვაჭრები, თურქეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორად მაინც აღმოსავლეთ საქართველო ითვლებოდა. ეს იმით აიხსნება, რომ ეკონომიკურად დასუსტებულ დასავლეთ საქართველოში საგარეო ვაჭრობის მთავარ ობიექტებზე ნაკლები მოთხოვნილება იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, მართალია,

სამეგრელოს მთავრები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ვაჭრობის გაფართოებას თურქეთთან, მაგრამ იგი ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

აღმოსავლეთ საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მყარდება ტაშის-კარის საბაჟოს გავლით, რომელიც აბაშიძეებს ეკუთვნოდათ, [1] ამ საბაჟოში გაივლიდა თურქეთიდან ან თურქეთის გზით სხვა ქვეყნებიდან აღმოსავლეთ საქართველოში მომავალი საქონელი და პირიქით. ტაშის-კარის საბაჟოს მონაცემებით შეიძლება დადგინდეს, თუ რა სახის საქონელი შემოგქონდათ თურქეთიდან საქართველოში. კერძოდ, ამ საქონელთა ჩამონათვალში შედიოდა: ფარჩა, აბრეშუმი, ბამბა, ჩაი, შაქარი, მაუდი, ზეთის ხილი, მარილი და სხვა.

XVII საუკუნეში თურქი ვაჭრები სულ უფრო ფეხს იკიდებდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი ეძებდნენ სავაჭრო დუქნებს თბილისში. საქართველოში თურქეთიდან ამ დროისთვის შემოგქონდათ ოქროსფერი ქსოვილები, აბრეშუმის, შალისა და ტილოს ქსოვილები, სხვა საფეიქრო ნაწარმი. შალის ნაწარმი მზადდებოდა რიზეში, ტილოს -სტამბოლში, თხელი ქსოვილები კი - ბურგასში. [1]
XVII საუკუნეში საქართველოს სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრად იქცნენ თურქეთის ქალაქები, როგორიცაა: ბურსა, სტამბოლი, ვანი, ერზრუმი, და სხვა. თურქეთში ამ დროისთვის განვითარებული იყო საფეიქრო

მრეწველობა. ბურსა ითვლებოდა საფეიქრო წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად. ბურსას საფეიქრო ნაწარმი ფართო ექსპორტის საგანი ყოფილა. მნიშვნელოვან საფეიქრო ცენტრებად ითვლებოდნენ ასევე ანკარა და თუყათი. XVI საუკუნის თურქეთისთვის დამახასიათებელი იყო ხელოსნობის მრავალრიცხოვანი ეროვნული შემადგენლობა. [2] თურქი შეგირდები ხშირად ხელობას სწავლობდნენ ქართველი ხელოსნებისაგან. ამდენად, საქართველოსა და თურქეთს შორის ამ დროისთვის იცვლებოდა არა მარტო საქონელი, არამედ კვალიფიკაციისა და ხელოვნების შედევრებიც, ე. ი. ამ დროისთვის ადგილი ჰქონდა ინტელექტუალურ თანამშრომლობასაც.

თურქეთი ტყავის წარმოებაც ყოფილა განვითარებული. თურქული ტყავის ნაწარმი მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და იგი მასიურად შემოჰქონდათ იმპორტის სახით საქართველოში. ტყავის წარმოებით განსაკუთრებით ცნობილი ქალაქი ერზრუმი იყო.

თურქეთში ოდითგანვე იწარმოებოდა მაღალხარისხიან ხალიჩები, რომელიც ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა. იგი შემოჰქონდათ საქართველოშიც. ხალიჩების წარმოების ძირითადი ცენტრი ყოფილა ქალაქი ბაიბურთი. თურქეთში მზადდებოდა სხვადასხვა სახის სამრეწველო ნაწარმიც, რომელიც ვაჭრობის გზით შემოდიოდა საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრები თურქეთში ირანული ნაწარმითაც ვაჭრობდნენ. აღმოსავლეთ საქართველოდან სავაჭრო ნაკადი მიემართებოდა თურქეთისაკენ. თურქეთის საშუალებით საქართველო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებდა დასავლეთ ევროპასთან. ამ დროისთვის დასავლეთ-ევროპული (უმთავრესად ფრანგული) საქონელი საქართველოში სწორედ თურქეთის გზით შემოდიოდა.

თურქეთთან საქართველოს სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში განსაკუთრებული ადგილი თბილისს. თბილისი, ისევე როგორც ახლა. ადრეც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ

მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე მდებარეობდა (განჯა-თბილის-ახალქალაქი-ახალციხე-ერზრუმი-სტამბოლი) [1]. თბილისელი ვაჭრები სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს თურქეთთან ამყარებდნენ ყიზილბაშთა თარეშის დროსაც. ქართველი ვაჭრები თურქეთის ტერიტორიების გავლით უკავშირდებოდნენ მსოფლიო ბაზარს.

XVII-XIX საუკუნეებში საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სწორედ ამ პერიოდში საქართველოში მიმოქცევაში იყო კონსტანტინოპოლში მოჭრილი თურქული მონეტები.

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდა XIX საუკუნის I ნახევარში, რაზეც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა 1821-1831 წლებში საქართველოში დაწესებულმა შეღავათიანმა ტრანზიტმა და ვაჭრობამ.

,,აღნიშნული შეღავათიანი ტრანზიტის დაწესებას გარკვეული პოლიტიკური წინაპირობები ჰქონდა, ეს შემდეგში გამოიხატებოდა: 1801 წლიდან საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და რა თქმა უნდა რუსეთი მას შემდეგ ცდილობდა თავისი პოლიტიკა გაეტარებინა სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობაშიც. ,,რუსეთმა საქართველოს შეერთებისთანავე ირანთან და თურქეთთან დაძაბული ურთიერთობისა და ომების გამო აკრძალა ამ ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობა, თავად რუსეთმა კი ეკონომიკური ჩამორჩენილობის, სავაჭრო კაპიტალის სისუსტისა და მისი ქალაქების სიშორის გამო ვერ შეძლო თვით დაუფლებოდა საქართველოს ბაზარს. რუსეთის ცალკეული ცდები, რომ მის არამყარ სავაჭრო კაპიტალს ამიერკავკასიასთან სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა, ინგლისის კონკურენციის გავლენით იშლებოდა, რომელიც მთელი აღმოსავლეთის ბაზრებს ფლობდა. მაგრამ რუსეთის საიმპერიო-საბაჟო სისტემის საქართველოში გავრცელებამ დიდად გაზარდა ფასები შემოზიდულ საქონელზე, რამაც როგორც ადგილობრივი ფეოდალების, ვაჭრებისა და მოქალაქეების, ასევე ადგილობრივი ხელოსნების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ამის საპასუხოდ, 1822 წლის 1 ივნისიდან საქონლის იმპორტზე ბაჟები 10 წლით საგრძნობლად შემცირდა. ნებადართულ იქნა ირანისაკენ ამიერკავკასიის გზით ევროპული საქონლის უბაჟოდ გადაზიდვა. საქართველოზე გაიდო ევროპიდან ირანისკენ მიმავალი სატრანსპორტო გზა.'' [1]

[1] სეხნიაშვილი ც. ,,ეკონომიკის ისტორია ნაწილი I'' . თბილისი, ,, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა'' 2000 გვ. 243?

მიუხედავად იმისა, რომ დროის ამ პერიოდში თურქეთიდან საქართველოში შემოტანილი საქონლის უმეტესი ნაწილი სატრანზიტო იყო, მისი გარკვეული ნაწილის რეალიზაცია ხდებოდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაშიც. თურქეთში გატანილ სატრანზიტო საქონელთან ერთად, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გარკვეული რაოდენობით გადიოდა საქართველოს ეროვნული წარმოების პროდუქციაც - ნედლი მასალები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხელოსნობისა და შიდა მრეწველობის ნაკეთობანი.

XIX საუკუნის 20 - იან წლებში თურქ ბიზნესმენებს საქართველოში ვაჭრობა შეეძლოთ მხოლოდ ბითუმად, რადგანაც საცალო ვაჭრობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ადგილობრივ ვაჭრებს. შეღავათიანი ვაჭრობის ხელსაყრელობა განსაკუთრებით დაეტყო თბილისს, სადაც ძალზე მომრავლდნენ თურქი ვაჭრები.

XIX საუკუნეში საქართველოსა და თურქეთს შორის ვაჭრობის გაფართოებამ გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში მოთხოვნილებისა და მოხმარების
მოცულობის ზრდა. ეკონომიკურად მომძლავრდა თურქეთის მოსაზღვრე ქართული სამფლობელოები. თურქეთის მზარდი წარმოება საქართველოში ეძებდა გასაღების ბაზრებს, რადგანაც თავის ჩამორჩენილობა მას საშუალებას არ ასძლევდა ამერიკასა და ევროპაში გაეტანა თავისი საქონელი.

თურქეთი თავის საქონელს საქართველოს აწვდიდა ბევრად უფრო იაფად ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნები. ამის საშუალებით თურქეთი ჩვენი ქვეყნიდან იღებდა იმ ნედლეულს, რაც აუცილებელი იყო თურქული ფაბრიკების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისთვის. ეს კი კიდევ უფრო ზრდიდა თურქეთის სავაჭრო სარგებლიანობას საქართველოს მიმართ. XIX საუკუნის 20_იან წლებში საქართველოში დაწესებული შეღავათიანი ტრანზიტის პირობებში ზემოთ აღნიშნულ ტენდენციებს თავისი განვითარების უფრო ნოყიერი ნიადაგი მიეცათ.

XIX საუკუნის II ნახევარში თურქ ვაჭართა მისწრაფება იყო ხელში ჩაეგდო სამეგრელოსა და აფხაზეთში ვაჭრობის მონოპოლია, რადგანაც აღნიშნულ რეგიონში ფართოდ იწარმოებოდა ხე-ტყის სამშენებლო მასალა, ხეხილი, თაფლი,

სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ფეტვი, სიმინდი, და ა. შ . რაც ფართო მოხმარების საგნებს წარმოადგენდა თურქეთში.

XIX საუკუნის II ნახევარში თურქეთთან აქტიური სავაჭრო- ეკონომიკური თანამშრომლობით გამოირჩეოდნენ (იმერეთში) ქუთაისი, ხონი, საჩხერე, ონი, (გურიაში) ლანჩხუთი, ვანი, ჯუმათი, (სამეგრელოში) ფოთი, სენაკი, (აჭარაში) ბათუმი და ა. შ.

XIX საუკუნის 30_იან წლებში შეწყდა თურქეთთან საქართველოს შეღავათიანი ვაჭრობა:

1) აიკრძალა იმ თურქული წარმოების საქონლის ჩვენს ქვეყანაში იმპორტი, რომელიც ადგილზევე მზადდებოდა;

2) 5% _იანი ბაჟი დაწესდა იმ თურქულ საქონელზე, რომელიც სახმელეთო გზით შემოჰქონდათ საქართველოში. შეღავათიანი ვაჭრობის აკრძალვამ

გამოიწვია ჩვენში ქვეყნიდან აურაცხელი ფულის გადენა თურქეთში. 1831 წლიდან საქართველოში ევროპული ტარიფები დაწესდა თურქული საქონლის იმპორტზე, რომლის მიხედვითაც საქართველოში იმპორტირებულ თურქულ საქონელზე ახდევინებდნენ 25_50%-ს.

თურქეთთან საქართველოს შეღავათიანი ვაჭრობის აკრძალვის შედეგად თურქეთი გადაიქცა დასავლეთ ევროპა - ირანის სატრანზიტო არენად. ევროპასა და ირანს შორის სატრანზიტო გზის ‘’ ყულევ - ტიფლისის’’ ნაცვლად ‘’ ტრაბიზუნდ- ერზრუმში’’ გადასვლამ მაშინვე გამოიწვია საქართველოში ჩამოსახლებული თურქი ვაჭრების უკანვე თურქეთში გადასვლა. მათ თან წაიღეს 125 ათასი მანეთის ღირებულების საქონელი სარეალიზაციოდ, სადაც ეს თანხები ამოღებულ იქნა 25%_იანი სარგებლით. ამიტომ, შემდგომში ეს სავაჭრო ოპერაციები კვლავ განახლებულ იქნა გაზრდილი მასშტაბით, რომელშიც ჩაერთვნენ ქართველი ვაჭრებიც. კერძოდ, XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოდან თურქეთში სავაჭროდ წავიდნენ თბილისელი მსხვილი ვაჭრები. შესაბამისად მათ საქართველოდან გაიტანეს დიდძალი თანხები. თბილისელ ვაჭრებს თურქეთში გადასვლას აიძულებდათ, თურქული პროდუქციის, რუსეთის

ნაწარმთან, უფრო სიიაფე. გარდა ამისა გაზრდილი საბაჟო ტარიფები კიდევ უფრო აძვირებდა რუსულ საქონელს. რაც შეეხება თურქეთის ნაწარმს, იგი ბევრად უფრო იაფი, გამძლე და ხარისხიანი იყო. ხასიათდებოდა ფერების სიმკვეთრით და გაუხუნებლობით. ამ საქონელზე ფასები ბევრად უფრო დაბალი იყო, ვიდრე უხარისხო რუსულ საქონელზე. ცხადია, ქართველ ვაჭრებს თურქული წარმოების საქონლის საქართველოში შემოტანა ბევრად უფრო მეტ მოგებას მისცემდა, ვიდრე რუსული წარმოების საქონლის იმპორტი.

,,თავისუფალი'' ვაჭრობის აკრძალვის შემდეგ საქართველომ ვერ შეინარჩუნა თურქეთთან არსებული წინანდელი კავშირ-ურთიერთობა. ჩვენს ქვეყანაში კომერციული ცხოვრება ერთბაშად ჩაკვდა, რამაც გამოიწვია ქართველ ვაჭართა გაკოტრების გახშირება.

საქართველოში შეღავათიანი ვაჭრობის აკრძალვამ გამოიწვია თურქეთიდან, კონტრაბანდის სახით, თურქული წარმოების საქონლის იმპორტის მკვეთრი ზრდა. XIX საუკუნის II ნახევარში ქართველ ვაჭართა მხრიდან ადგილი ჰქონდა მცდელობას - აღედგინათ 1821-1831 წლებში გავრცელებული შეღავათიანი ვაჭრობის პირობები, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

მიუხედავად საქართველოში შეღავათიანი ვაჭრობის აკრძალვისა, XIX საუკუნის II ნახევარში აშკარად შეიმჩნეოდა თურქული საქონლის ჩვენს ქვეყანაში იმპორტის ინტენსიური ზრდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს თურქეთთან XIX საუკუნის დასასრულამდე აქტიური სავაჭრო- ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა. აღნიშნული ვითარება გაგრძელდა XX საუკუნის 20_იან წლებამდე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს არსებული ეკონომიკური ვითარება და მისი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი. სანამ აღნიშნული პერიოდის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს აღვწერდეთ, აუცილებელია იმის თქმა თუ რა პირობებში შეიქმნა და რა პრობლემების წინაშე იდგა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეს ის პერიოდია, როცა დასრულებულია პირველი მსოფლიო ომი, მსოფლიო პოლიტიკური ძალთა ბალანსი იცვლება და იკვეთება ახალი ძლიერი მოთამაშის, აშშ-ს პოზიციები. მართალია ამ დროს საქართველოს მოპოვებული აქვს დამოუკიდებლობა, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები აცნობიერებენ რა რუსეთის იმპერიის ინტერესებს კავკასიის რეგიონის მიმართ, ერიდებიან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, მხოლოდ ,,1920 წლის დამდეგს, როცა რუსეთის შიდა დაპირისპირებაში საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობა აშკარა გახდა, მოკავშირე სახელმწიფოებმა საჭიროდ მიიჩნიეს, ჩაეკეტათ ბოლშევიზმი საკუთრივ რუსეთის ფარგლებში და განაპირა ქვეყნები დაეცვათ მისი შეღწევისაგან. არსებითად ამ მოსაზრებით იყო განპირობებული ინგლისი, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობების გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტოდ აღიარების შესახებ 1920 წლის 11 იანვარს. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების ძალით საქართველოს ცალკე სახელმწიფოებრიობა ცნო რსფსრ-მ. მეტროპოლიის მიერ ყოფილ კოლონიაზე ხელის ნებით აღებამ გაზარდა საერთაშორისო ნდობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისადმი. უცხოეთის არაერთი ქვეყანა საქართველოს სუვერენიტეტის იურიდიულად აღიარების გზას დაადგა. რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აქტიურად ცდილობდა აღედგინა ომამდელი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები და საერთაშორისო ვაჭრობაში საკუთარი პოზიციები განემტკიცებინა, ამაზე მეტყველებს მთავრობის მიერ განხორციელებული სხვადასხვა რეფორმა. მათ შორისაა სახელმწიფო მონოპოლიების დაკანონება მადნეულის (მანგანუმი, ქვანახშირი) მრეწველობაში, ასევე თამბაქოს წარმოებაში. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე საბაჟო რეფორმა, იგი ითვალისწინებდა ძველი 14 საიმპერიო საბაჟოს გაუქმებას და ახალი საბაჟოების შექმნას. ,,ქართული საბაჟოების მუშაობის

ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ყველაზე მეტი იმპორტული საქონელი შემოტანილია რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ოსმალეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, იტალიიდან, სომხეთიდან და სხვა. საქართველოდან ყველაზე მეტი საქონლის ექსპორტი განხორციელდა აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში იტალიაში, ოსმალეთში და ა. შ.

1 .1

იმპორტი 1919 წელი			
ქვეყანა	საქონელი (ფუთი)	მლნ მანეთი	წილი (%)
რუსეთი	724,7	136525,9	15,01262
აზერბაიჯანი	2319,5	292989,8	32,21765
ოსმალეთი	67,7	39077,9	4,297071
ინგლისი	9,7	10000,1	1,099628
აშშ	7,5	3530,1	0,388176
იტალია	17,1	40545,6	4,458462
დანარჩენი ქვეყნები	814,7	386738,4	42,5264
სულ	3960,9	909407,8	100%

იმპორტი 1920 წელი			
ქვეყნები	საქონელი (ფუთ)	მლნ მანეთი	წილი (%)
რუსეთი	848.9	413365.9	7,95
აზერბაიჯანი	877,4	311727,5	6,00
ოსმალეთი	215.8	310762.2	6,0%
ინგლისი	155,4	400373,7	7,70
აშშ	19,3	1061716,5	20,42
იტალია	279,8	1719225,3	33,07
დანარჩენი ქვეყნები	1680,1	1706039,5	32,81

1.2; 1.3;

ექსპორტი 1919 წელი			
ქვეყნები	საქონელი (ფუთი)	მლნ მანეთი	წილი %
აზერბაიჯანი	2404,7	154970,1	40,99
სომხეთი	527,3	67524,3	17,86
რუსეთი	392,9	34770,5	9,20
იტალია	35	10845	2,87
ოსმალეთი	26,7	6702,3	1,77
ინგლისი	452	1836	0,49
დანარჩენი ქვეყნები	558,2	101450,6	26,83
სულ	4396,8	378098,8	100

ექსპორტი 1920 წელი			
ქვეყნები	საქონელი (ფუთი)	მლნ მანეთი	წილი (%)
აზერბაიჯანი	120,2	139927,3	5,34
სომხეთი	116,2	151747,6	5,79
რუსეთი	221,8	79644,8	3,04
იტალია	1890,3	105935,3	4,04
ოსმალეთი	257,1	784465,8	29,93
ინგლისი	5996,1	532768,2	20,33
დანარჩენი ქვეყნები	4007,3	826456	31,53
სულ	12609	2620945	100

1.4

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში უმთავრესად შემოჰქონდათ შემდეგი საქონელი: კონიაკი, ყველი, კარაქი, მარილი, ტყავეულობა, ფართლეულობა, საგალანტერეო საქონელი, პაპიროსის ქაღალდი, თამბაქო, საპონი, ხილეულობა, ფქვილი, ნავთი, ზეთი, ბრინჯი, მაზუთი, შაქარი, ნაღები, ხორცი, კარტოფილი, თაფლი, ქერი, საკლავი, ხორბალი, სიმინდი, ლეკური შალები, სანთელი, მზესუმზირის ზეთი, რკინეულობა, ხახვი, მაკარონი, შეკერილი ტანისამოსი, ღვინო, მედიკამენტები, ხის მასალა და ხის ნაწარმი , ლითონის ნაწარმი, საწერი ქაღალდი და სხვა. საქართველოდან გაჰქონდათ: ღვინო, მწვანილი, თხილი, ხილეულობა, ძველი ნოხები, შალი, თუთუნი, ლობიო, შაქარი, ძველი ოჯახური ნივთები, ტყლაპი, მდოგვი, ბაწარი, ხის კოვზები და ლამპის შუშები, ხის სარჭები, კასრები, ყუთები და სხვა ადგილობრივი ნაწარმი.

1921 წლის თებერვლის შემდეგ საბჭოური ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისა და მსოფლიო ვაჭრობისაგან მისი იზოლაციის შედეგად, საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დროებით გაწყდა. ორ ქვეყანას შორის, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, ადგილი ჰქონდა საზღვრისპირა ვაჭრობას. 90-იან წლებში კი საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვის შედეგად ორ ქვეყანას შორის აღსდგა ტრადიციული სავაჭრო კავშირები, მაგრამ, ეს ურთიერთობა განახლდა არა ძველი ფორმებით არამედ თანამედროვე ხასიათი მიიღო, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების მიღწეულ მაღალ დონეს. საქართველომ და თურქეთმა ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დაამყარეს მრავალ ორმხრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონის ეკონომიკურ პროექტებში. ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ თანამშრომლობა, შემოიფარგლება არა მარტო უშუალოდ სავაჭრო ურთიერთობებითა და ერთმანეთს შორის საქონელბრუნვით, არამედ მათ შორის ადგილი აქვს ინტელექტუალურ თანამშრომლობასაც. ინჟინრულ მომსახურებას, ერთობლივ საწარმოთა დაარსებას, ინვესტიციების სფეროში თანამშრომლობას, შრომითი რესურსების ურთიერთ დანაწილებას და ა. შ.

I.1 საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თეორიული ანალიზი

საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის თვალნათლივ შესასწავლად და სასურველი პერსპექტივების დასახვისთვის, მნიშვნელოვანია კლასიკური პოლიტეკონომიის მიმდევრების თეორიების გაანალიზება საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ.

,, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ თეორიული კონცეფციების დამუშავება პირველად დაიწყეს მერკანტილისტებმა.

მერკანტილიზმის განვითარებაში გამოიყოფა ორი ძირითადი ეტაპი: - I ადრინდელი მერკანტილიზმი - ,,ფულადი ბალანსის'' თეორიით, რომლებიც ფულადი სიმდიდრის გაზრდას წმინდა საკანონმდებლო წესებით მოითხოვდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ქვეყანაში ფულის დაგროვებისთვის აუცილებელი იყო მისი საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა. გარდა ამისა, ამ მიმართულებით, ავტორთა აზრით, აუცილებელი იყო საქონელთა ექსპორტის ზრდა და იმპორტის შემცირება, უცხოეთში ოქროსა და ვერცხლის გაზიდვის აკრძალვა და სხვა.

II ეტაპი მერკანტილიზმის განვითარებისა არის, ,,გვიანდელი ანუ განვითარებული მერკანტილიზმი'', ,,სავაჭრო ბალანსის'' თეორიით ცნობილი. გვინადელი მერკანტილისტების აზრით, ქვეყანა მით უფრო მდიდარია, რაც მეტად აქტიური სავაჭრო ბალანსი აქვს. ისინიც სიმდიდრეს ფულში ხედავდნენ, მაგრამ ფულის მიმოქცევა ქვეყანაში მეტი ფულის შემოტანის მიზნით უნდა დაჩქარებულიყო. ამ მიმართულების მერკანტილისტები მოითხოვდნენ ექსპორტისა და იმპორტის ტემპების ზრდას პირველის სასარგებლოდ, რაც ქვეყნის სავაჭრო ბალანსის აქტიურ სალდოს უზრუნველყოფდა. ისინი იცავდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც უცხოური საქონლის შემოტანაზე ბაჟები იზრდებოდა, ხოლო სამამულო საქონელთა ექსპორტი კი უნდა წახალისებულიყო. ''[2]

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისელმა, კლასიკური პოლიტეკონომიის მიმდევარმა, ადამ სმიტმა თავის ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ'' დაამუშავა ,,თავისუფალი ვაჭრობის თეორია''. იგი საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას ემხრობოდა და აკრიტიკებდა მერკანტილისტების პროტექციონისტულ მიდგომას. იგი ამბობდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა უნდა განხორციელდეს იმ აბსოლუტურ უპირატესობათა საფუძველზე, რომელთაც ფლობს ესა თუ ის ქვეყანა. ყოველი ერი უნდა დასპეციალიზდეს იმ საქონლის წარმოებაზე, სადაც იგი ფლობს აბსოლუტურ

[2] ა. სილაგაძე ,,ეკონომიკური დოქტრინები'' ,,ინოვაცია'', თბილისი, 2010. გვ. 84.

უპირატესობას. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მოწინააღმდეგე იყო და ეკონომიკაში სუბიექტებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებლად კონკურენციის ,,უხილავი ხელი'' ესახებოდა.

საერთაშორისო ვაჭრობის კვლევის მომდევნო მნიშვნელოვანი თეორია ეკუთვნის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელ დევიდ რიკარდოს. მან დაამტკიცა საერთაშორისო ვაჭრობის შეფარდებითი უპირატესობის არსებობა. შეფარდებითი უპირატესობის დოქტრინიდან გამომდინარე, ყოველ ქვეყანას საზღვარგარეთ ის საქონელი გააქვს, რომლის წარმოებაზეც მან თავის ქვეყანაში შედარებით ნაკლები დანახარჯები გაიღო, ხოლო საზღვარგარეთიდან კი შემოაქვს ის საქონელი, რომლის წარმოებაც მის ქვეყანაში უფრო ძვირად ღირებულია. ამიტომ ქვეყანას თუ არ გააჩნია რომელიმე საქონლის წარმოებაში აბსოლუტური უპირატესობა, მას მაინც აქვს რომელიღაც საქონელში შეფარდებითი უპირატესობა, რაც საშუალებას მიცემს ჩაერთოს საერთაშორისო ვაჭრობაში აღნიშნული პროდუქციის ექსპორტით. რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორიით საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ქვეყნები საბოლოო ანგარიშით მოგებული რჩებიან ოღონდ განსხვავებული სარგებლიანობით.

თანამედროვე წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რით განისაზღვრება საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების მიმართულება და სტრუქტურა, საფუძველი შვედმა მეცნიერებმა ჩაუყარეს. ეკონომიკური თეორიის ცნობილმა შვედმა სპეციალისტმა ელი ჰეკშერმა 1919 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ჩამოაყალიბა ამოსავალი პრინციპები. 30_იან წლებში ეს პრინციპები განავითარა და განაზოგადა მისმა მოწაფემ ბერტილ ოლინმა.

თვით ოლინის სიტყვებით ჰეკშერ-ოლინის თეორიის აზრი შემდეგში მდგომარეობს: ,,საქონელი, რომლის წარმოებასაც სჭირდება მნიშვნელოვანი ხარჯები (წარმოების ჭარბი ფაქტორები) და არა დიდი ხარჯები (დეფიციტური ფაქტორები), ექსპორტით გაიცვლება ისეთ საქონელზე, რომელიც იწარმოება ფაქტორების უკუპროპორციული გამოყენებით. ამგვარად, ფარულად ხდება წარმოების ჭარბი ფაქტორების ექსპორტი და დეფიციტური ფაქტორების იმპორტი.''

ანუ ქვეყნები ეწევიან ჭარბი ფაქტორების ინტენსიური გამოყენებით წარმოებული პროდუქტების ექსპორტს და მათთვის დეფიციტური ფაქტორების ინტენსიური გამოყენებით წარმოებული პროდუქტების იმპორტს.

ჰეკშერ-ოლინის თეორიიდან ასევე გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები: საერთაშორისო ვაჭრობაში შეიმჩნევა ფაქტორთა ფასთა გათანაბრების ტენდენცია. საქონლის ექსპორტი შეიძლება შევცვალოთ წარმოების ფაქტორთა გადანაცვლებით; ელი ჰეკშერი და ბერტილ ოლინი უარყოფითად აფასებენ იმ შეზღუდვებს, რომლებიც ართულებენ ქვეყნებს შორის, როგორც საქონლის, ისე წარმოების ფაქტორთა გადანაწილებას, აღნიშნული თეორია ვაჭრობის პირობებს განიხილავს იმ შემთხვევაშიც თუ მოვაჭრე ქვეყნები თანაბარ სავაჭრო მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ არ გააჩნიათ უპირატესობა - ყველა მეწარმეს გააჩნია მსგავსი საწარმოო შესაძლებლობები, არ იცვლება ტარიფები, სატრანსპორტო დანახარჯები და წარმოების სხვა დანახარჯები. ჰეკშერ-ოლინის თეორიის თანახმად, შრომა და კაპიტალი ,,მობილურ'' ფაქტორებად ითვლებიან, ანუ ისინი მოგების მაქსიმიზაციის მიზნით სცდებიან ქვეყნის საზღვრებს: სწორედ ამის გამოხატულებაა საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ზრდა საქართველოდან თურქეთში და სხვა ქვეყნებში, ასევე თურქული ინვესტიციების შემოდინება საქართველოში, ერთობლივი საწარმოების დაარსება თუ თურქული საწარმოების ფილიალების დაარსება საქართველოში, რაც საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში ჩართვის ლოგიკური შედეგია. ამ ,,ლოგიკური '' შედეგის შეცვლა შესაძლებელია ქვეყნის თანმიმდევრული პროტექციონისტული პოლიტიკით, რათა მოხდეს ექსპორტის ისეთი დარგების წახალისება, რომელიც უფრო მეტ მოგებას მოუტანს ჩვენს ქვეყანას, ისეთი დარგები, რომლებიც სამრეწველო პროდუქციის წარმოებით იქნებიან დაკავებული.

,,წარმატებები შრომის საერთაშორისო დანაწილებაში განსაკუთრებით ვლინდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური გაცვლის შინაარსში. ეს წარმატებები გამოიხატება, უწინარეს ყოვლისა, ნედლეულით ვაჭრობის შემცირების ტენდენციით და მზა სამრეწველო პროდუქციის საერთაშორისო გაცვლის

ინტენსიფიკაციით. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში აშკარა გამოხატულებას ჰპოვებს; მაგ., თუ II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ნედლეულით ვაჭრობის ხვედრითი წილი მსოფლიო კაპიტალისტურ ექსპორტში შემცირდა 3/5-დან 1/3-მდე, მზა სამრეწველო წარმოების ხვედრითი წილი შესაბამისად გაიზარდა 2/3 -მდე.''[3]

მსოფლიო ვაჭრობაში ნედლეულით ვაჭრობის ხვედრითი წილის შემცირება ასახავს მსოფლიო ტენდენციას - თანამედროვე წარმოებაში ნედლეულის როლის შემცირებას. აღნიშნულმა პროცესებმა განაპირობეს მსოფლიო ბაზარზე აგრარულ-სანედლეულო ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და სამრეწველო პროდუქციის მიმწოდებელი ქვეყნების პოზიციების გაძლიერება. აღნიშნული ტენდენცია დღესდღეობით ვერ მიესადაგება ნავთობით მდიდარ ქვეყნებს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში, თუ ნავთობით მდიდარი ქვეყნები არ ეცდებიან წარმოების დივერსიფიკაციას ისინიც კრიზისის წინაშე აღმოჩნდებიან.

ზემოთ ჩამოთვლილი თეორიებიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობისას, წარსულის სხვადასხვა ეტაპებზე აღნიშნული საგარეო ვაჭრობის თეორიების ელემენტების შერწყმა და გამოყენება ხდებოდა. მაგ: XVII-XIX საუკუნეებში ადგილი ჰქონდა, როგორც მერკანტილისტურ, პროტექციონისტურ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას, ასევე 1821-1831 წლებში თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს. ბუნებრივია ქვეყნები იმ დარგებში დასპეციალიზდებოდნენ, რომელშიც მათ თავიანთი აბსოლუტური ან შეფარდებითი უპირატესობა გამოადგებოდათ. დღესდღეობით საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი არსებობს რომელიც 2008 წლის 1 ნოემბრიდან მოქმედებს.

[3] ,,თეორიული ეკონომიკის საფუძვლები'' საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი1996. გვ. 229-230

I.2 საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა

საქართველო-თურქეთის ურთიერთობების მოწესრიგების და გაღრმავების მიზნით, დღესდღეობით დადებულია მრავალი სამართლებრივი აქტი, ორმხრივი თუ სამმხრივი შეთანხმებები, ოქმი, კანონი თუ დადგენილება .[4]

აღნიშნული სამართლებრივი აქტები ემსახურება თურქეთ-საქართველოს შორის თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით, ესენია : თავდაცვის სფეროში, ჯანდაცვის სფეროში, ენერგეტიკის სფეროში, კულტურის, განათლების, ლოგისტიკის, ტრანსპორტის, საბაჟო ურთიერთობების დასარეგულირებლად, ასევე ფინანსურ სფეროში, სავაჭრო-ეკონომიკურ, სამხედრო, კავშირგაბმულობის, ტურიზმის, გარემოს დაცვის და სხვა სფეროებში.

აღნიშნული ხელშეკრულებებიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია გამოიყოს, საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გაღრმავებისა და განმტკიცების ხელშემწყობი დოკუმენტები და ნორმატიული აქტები.

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია 1992 30 ივლისს მიღებული ხელშეკრულება, ,,საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ''

აღნიშნულ დოკუმენტის მიზნებში ვკითხულობთ შემდეგს:

,,1. ეს მხარეები გამომდინარე მოსაზრებიდან, რომ სავაჭრო–ეკონომიკური თანამშრომლობა შეადგენს ორმხრივი ურთიერთობების განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს, შეეცდებიან არსებული სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობების

---

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/search?query=%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98&geo=on&query_target=title&type=all&group=&issuer=&number=&signing_date_fr%5Bdate%5D=&signing_date_to%5Bdate%5D=&registration_code=&publishing_date_fr%5Bdate%5D=&publishing_date_to%5Bdate%5D=&status=active&additional_status=&op=%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90&form_build_id=form-91GqhuxB2716SlGJF_UeU1PpagiN0qoxTvqV6tTAu4A&form_id=_document_search_form&page=1&limit=50

მოცულობა აიყვანონ მისი პოტენციური შესაძლებლობების დონეზე, შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივ კაპიტალდაბანდებათა პროექტები.

2. მხარეები ხელს შეუწყობენ და უპირატესობას მიანიჭებენ ურთიერთშორის ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების განვითარებას.

3. მხარეები განავითარებენ მჭიდრო თანამშრომლობას იმ დარგებში, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მათი მომავლისათვის:

- მრეწველობა;
- ენერგეტიკა;
- სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა;
- ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა;
- ჯანდაცვა;
- კომუნიკაციები. ''[5]

მნიშვნელოვანია 1994 წლის 4 აპრილის შეთანხმება: ,,საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ'' რომლის მიხედვითაც მხარეები გამოთქვამენ რა მზაობას, რომ გაზარდონ საბაჟო გამშვები პუნქტების გამტარუნარიანობა თანხმდებიან აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. ეს შეთანხმება ხელს უწყობს თურქეთ-საქართველოს მოქალაქეების, საქონლის თუ ტრანსპორტის მიმოსვლის გაადვილებას, რაც სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ორი ქვეყნის თანამშრომლობის განმტკიცება სოფლის მეურნეობის დარგში გამოიხატება 1994/01/01 მიღებული ოქმი - ,,საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სოფლის მეურნეობის დარგში ტექნიკური, სამეცნიერო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ''

აღნიშნული ოქმის ფარგლებში, საქართველო-თურქეთი ერთობლივ კომიტეტს ქმნის, რომელიც მიზნად ისახავს, სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო

[5] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1207454

ტექნიკური მიღწევების ურთიერთგაცვლას და თანამშრომლობის გაღრმავებას ამ კუთხით.

2008 წელს დადებული შეთანხმება ,,თავისუფალი ვაჭრობის შესახებ თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის'' მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია თურქეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით, შეთანხმების შემდეგი სახის მიზნები აქვს:

,,ა) მხარეთა შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება და გაღრმავება ორი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად;

ბ) სასაქონლო ვაჭრობასთან დაკავშირებული სიძნელეებისა და შეზღუდვების აღმოფხვრა;

გ) მხარეთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა ორმხრივი ვაჭრობის გაფართოების გზით;

დ) მხარეთა შორის ვაჭრობისას სამართლიანი კონკურენციის პირობების უზრუნველყოფა;''[6]

ე) პირობების შექმნა ინვესტიციების შემდგომი წახალისებისთვის, განსაკუთრებით კი ორივე ქვეყანაში ერთობლივი ინვესტიციების განვითარებისთვის;

ვ) მესამე ქვეყნების ბაზრებზე მხარეთა შორის ვაჭრობისა და თანამშრომლობისთვის ხელშეწყობა;

ზ) მსოფლიო ვაჭრობის განვითარებისა და გაფართოების ხელშეწყობა ვაჭრობაში ბარიერების აღმოფხვრის გზით''

უნდა ითქვას, რომ ,,თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ინიციატორი ქართული მხარე იყო: მთავრობა ხელშეკრულებიდან ორ ძირითად სარგებელს ელოდა: რუსული ემბარგოს შემდეგ ქართული ღვინო ახალ 70-მილიონიან ბაზარზე, თურქეთში

[6] http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/ormxrivi-turketi.pdf

[7] http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

გადამისამართდებოდა, ქვეყანაში კი თურქული ინვესტიციების „ბუმი“ დაიწყებოდა. ‘’ [7]

„ხელშეკრულების გაფორმებამდე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 174 ტიპის პროდუქციის შემოტანაზე 12%-იანი საბაჟო გადასახადი მოქმედებდა, ხოლო 43 სახეობაზე - 5%-იანი. შეთანხმების შემდეგ ყველა ზემოხსენებული პროდუქტები 15 პოზიციის გარდა, რომელიც მოხსენებულია პირველ პროტოკოლში, გათავისუფლდა გადასახადებისგან. რაც შეეხება თურქულ მხარეს, გადასახადებისგან არ გათავისუფლდა პროდუქტების 8 კატეგორია (თითოეული კატეგორია 10 პოზიციისგან შედგება) და დამატებით - 22 პოზიცია. ამასთანავე, თურქეთმა სხვადასხვა პროდუქტებისთვის სატარიფო ქვოტები დააწესა და ადგილობრივი წარმოების დასაცავად ფუნქციური მექანიზმი ჩადო, რომელიც ავტომატურად, ქვეყანაში იმპორტს ზღუდავდა. ამის საწინააღმდეგოდ, ქართულ მხარეს სატარიფო ქვოტები თურქული მხარისთვის არ დაუწესებია“, - აღნიშნულია „ლიბერალური აკადემიის“ კვლევაში, რომელიც 2011 წელს ჩატარდა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ორი წლის შედეგებს აფასებდა. ‘’ [8]

შეზღუდვები ორივე მხრიდან, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას შეეხო. თურქეთი, რომელსაც მაღალ დონეზე განვითარებული აგრარული სექტორი აქვს, საკუთარ წარმოებას იმპორტისგან მაქსიმალურად იცავს, როგორც საბაჟო-ტექნიკური ბარიერებით, ასევე დარგის აქტიური სუბსიდირებით (მათ შორის, ექსპორტზეც).

[8] http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

ქვოტები და საბაჟო შეღავათები საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტებზე თურქეთის მიმართულებით:

	პროდუქცია	**ქვოტის მოცულობა**	**გადასახადი**
1	ნატურალური ყურძნის ღვინოები	1 მლნ ლიტრი	-100%
2	ანჩოუსი (ქაფშია) ახალი, ან შეყინული	8 000 ტონა	-60%
3	ანჩოუსის ფქვილი	3 000 ტონა	-100%
4	ნატურალური თაფლი	200 ტონა	-100%
5	ციტრუსი (ლიმნის გარდა)	4 000 ტონა	-100%
6	ნესვი, საზამთრო, პაპაია	3 500 ტონა	-100%
7	ვაშლი	2 000 ტონა	-100%
8	ბოსტნეული სხვა	1 000 ტონა	-100%
9	პომიდორი	600 ტონა	-100%
10	მსხალი, კომში	250 ტონა	-100%
11	გარგარი,ალუბალი,ატამი,ქლიავი	600 ტონა	-50%
12	ალაო, წებოვანა	2 000 ტონა	-50%
13	საკონდიტრო ნაწარმი	1 500 ტონა	-100%
14	ბოსტნეულის, ხილის კონსერვები	2 200 ტონა	-100%
15	ჯემი, ხილ-კენკროვანი ჟელე	1 000 ტონა	-50.00%
16	ხილის, ბოსტნეულის წვენები (ყურძნის)	4 000 ტონა	-65%

1.5

საქართველოს სტატისტიკური სამსახურის 2016 წლის ინფორმაციით, ქვოტირებული პროდუქციიდან, თითქმის, არცერთი სახეობა თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტზე ბოლო რვა წლის განმავლობაში არ გასულა, თევზის და თევზპროდუქტების გარდა.

ღვინოზე, როგორც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების ინსპირაციის წყაროზე, საქართველოს მთავრობამ ყველაზე მაღალი ქვოტა - 1 მილიონი ლიტრი - მოითხოვა. მართალია, 1 მილიონი ლიტრი დაკარგული რუსული ბაზრის მხოლოდ მერვედს წარმოადგენდა, თუმცა,ქვოტის ათვისება საერთოდ ვერ მოხერხდა. სტატისტიკური ინფორმაციით, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ წელიწადში ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი მხოლოდ 27,6 ათასი ლიტრით განისაზღვრა, იქიდან მიღებულმა შემოსავლებმა კი 91 ათასი დოლარი შეადგინა. 2015 წლისთვის კი მისი მოცულობა 5,7 ათასი ლიტრით შემოიფარგლა (35 ათასი დოლარი)

თურქეთში ღვინის გასაღების პრობლემას ორი მხარე ჰქონდა ესენია, კულტურული ფაქტორი და ეკონომიკური მხარე. პირველ შემთხვევაში თურქეთის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, რის გამოც ღვინო არ არის მათში პოპულარული და მეორე მხრივ, მართალია თურქეთმა ღვინოზე ქვოტის ფარგლებში საბაჟო გადასახადი მოხსნა, მაგრამ ადგილობრივი მოსაკრებლები ღვინოზე ბოთლზე დაახლოებით 20 ლირას სცდებოდა ამიტომ, ისედაც არაპოპულარული საქონელი კიდევ უფრო გაძვირდა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ შესაძლებელი იყო ქართული ღვინის თურქული სასტუმროებისთვის მიწოდება მომხდარიყო, თურქეთში არსებული ტურისტეის ბაზრის ასავისებლად, მაგრამ, ვინაიდან თურქული სასტუმროების უმეტესობა მომხმარებლებს მომსახურების სრულ, ,,All inclusive ‘’, პაკეტს სთავაზობენ ამიტომ ქართული ძვირი ღვინო კონკურენციას ვერ გაუწევდა ევროპულ და ადგილობრივ იაფ ნაწარმ მსგავს პროდუქტს.

რაც შეეხება ხელშეკრულების დადების შემდეგ ინვესტიციების მოლოდინს, მართლაც, ხელმოწერიდან პირველივე, 2008 წელს, მეზობელი ქვეყნიდან კაპიტალდაბანდების მოცულობა 60%-ით გაიზარდა და 165 მილიონ დოლარს მიაღწია, მათმა წილმა კი მთლიან პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში 4,7%-დან 10,5%-მდე მოიმატა. თუმცა 2014 წელს 63 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, როგორც შემდგომში ცხრილში ვიხილავთ თურქეთიდან შემოსული იზრდება მომდევნო წლებში და 2018 წელს პირიქით გაედინება. აღნიშნული პროცესი თურქეთის და ზოგადად რეგიონში

მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციით აიხსენა, რისი ერთ-ერთი ნიშანი ბოლო პერიოდში თურქული ლირის ძლიერ გაუფასურებაა.

აღნიშნული შეთანხმების მოდიფიცირება და განახლება მოხდა სხვადასხვა დროს, გაიზარდა ქვოტები სხვადასხვა საქონელზე, შემცირდა ან მოიხსნა ტარიფები, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის, ვინაიდან თურქეთი არის საქართველოს საექსპორტო პროდუქციის გასაღების უდიდესი ბაზარი, და ვაჭრობის ლიბერალიზაცია თურქეთის მხრიდან, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს გახდის საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებს საქართველოსთვის. თურქეთი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია დღესდღეობით, სავაჭრო ბალანსი კი უარყოფითია, ექსპორტ წამახალისებელი პოლიტიკა კი საქართველო-თურქეთის სავაჭრო დისბალანსის აღმოფხვრის ერთ-ერთი გზაა.

შეთანხმება ,,ბაქო–თბილისი–ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის შესახებ'', რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის, მიერ 2007 წლის 28 მარტს, იგი ითვალისწინებს სამმხრივ კოორდინაციას აზერბაიჯანს , საქართველოსა და თურქეთს შორის, რათა მოხდეს სავაჭრო ტვირთბრუნვის გაზრდა, სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება, გადაზიდვის დროის შემცირება. აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტი დასრულდა, რკინიგზა ოფიციალურად 2017 წლის 30 ოქტომბრიდან გახსნილია, რამაც ფაქტიურად ევროპისა და აზიის ბაზრები უფრო მეტად დააახლოვა. რა თქმა უნდა რკინიგზა გაზრდის ტვირთბრუნვას საქართველოს ტერიტორიაზე, გაზრდის საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლს, როგორც დასავლეთისთვის ისე აღმოსავლეთისთვის, ეს ერთმნიშვნელოვნად დადებითი ეფექტი იქნება საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილ ხელშეკრულებებთან ერთად, რომლებიც საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ისახავს მიზნად, არსებობს შეთანხმებები და ხელშეკრულებები, ენერგეტიკის, ლოგისტიკის,

კავშირგაბმულობის, ინვესტიციების მოზიდვის სფეროებში, რომლებიც ასევე ამ მიზანს ემსახურებიან.

თავი II. თურქეთის ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა

თურქეთის მოსახლეობა უახლესი მონაცემებით დაახლოებით 82,5 მილიონს ადამიანს წარმოადგენს, რაც მთელი მსოფლიო მოსახლეობის 1,08 პროცენტია, თურქეთის ფართობი შეადგენს 769,630 კმ^2 .

თურქეთი ოფიციალურად დემოკრატიული, სეკულარული, უნიტარული, კონსტიტუციური რესპუბლიკაა. მისი თანამედროვე ოლიტიკური სისტემა 1923 წელს ჩამოყალიბდა ქემალ ათათურქის ხელმძღვანელობით, იგი მთავრობაში I მსოფლიო ომის ბოლოს, ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდგომ მოვიდა. მას შემდეგ თურქეთი სულ უფრო მჭიდროდ ხდება ინტეგრირებული დასავლეთან, ევროპის საბჭოში NATO-ში, OECD, OSCE და G20-ში, გაწევრიანეით. თურქეთმა ევროკავშირში სრულუფლებიან წევრობაზე მოლაპარაკება 2005 წელს დაიწყო, იგი იყო ევროპის ეკონომიკური საბჭოს ასოცირებული წევრი 1963 წლიდან და საბაჟო კავშირის წევრი 1995 წლიდან. ამასთან ერთად, როგორც მეტწილად მაჰმადიანური ქვეყანა, თურქეთი აგრძელებს ახლო კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინდუსტრიულ ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალურ აზიასთან, ისეთ ორგანიზაციებში წევრობით, როგორიცაა OIC და ECO. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კლასიფიკაციით თურქეთის რესპუბლიკა განვითარებული ქვეანაა, ხოლო პოლიტიკური მეცნიერებისა და ეკონომისტების შეფასებით ის რეგიონალური ზესახელმწიფოა.

თურქეთის ეკონომიკა ღიაა საგარეო ვაჭრობისთვის, მსოფლი ბანკის 2019 წლის მონაცემებით თურქეთის საგარეო ვაჭრობის წილი მთლიან შიგა პროდუქტში 54,12% ია. 2018 წელს თურქეთმა 167,967,219 მილიონი დოლარის ექსპორტი განახორციელა, აქედან ავტომობილებზე მოდის 13.9% მთლიანი ექსპორტისა, რომელშიც შედის მსუბუქი ავტომობილები და დანარჩენი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, განკუთვნილი ძირითადად ადამიანების გადასაყვანად, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები ტვირთების გადასაზიდად, ავტომობილის ნაწილები, საიუვილერო

ნაკეთობები და მათი ნაწილები ძვირფასი ლითონებისა - 2,2% ის ოდენობით, თურქეთის ექსპორტის ამ ტოპ პროდუქტებს მოყვებოდა ტანსაცმელი და ტანსაცმლის აქსესუარები, ტექსტილი, ნაქსოვი თუ დამუშავებული, ელექტრონული დანადგარები, მათი აღჭურვილობა და ნაწილები ხმის ჩამწერები და სატელეკომუნიკაციო საშუალებები, ავეჯი, მინერალური ზეთები, ხილი, ციტრუსი და სხვა პროდუქტები, ბოსტნეული, ოქრო და ძვირფასეულობა.

2018 წელს თურქეთის იმპორტმა შეადგინა 223046481 მილიონი დოლარი, თურქეთის მთავარი საიმპორტო პროდუქციის ჩამონათვალი შემდეგია : ნავთოი და ნავთობპროდუქტები 5,7% ის ოდენობით, ოქრო 5%, შემდეგ მოდის შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი 2,1%, თურქეთის იმპორტი ძირითად დანარჩენ ნაწილს შეადგენს ავტომობილის ნაწილები, მუხრუჭები ბამპერები და ა.შ ასევე, ქვანახშირი, სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონები, ალუმინისა და სპილენძის მადნები.

ასევე ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებშიც თურქეთი აქტიურად ეწევა საქონლისა და მომსახურების ექსპორტს და ასევე ის ქვეყნებიც, რომლებისგანაც თურქეთი იმპორტს ახორციელებს, ჩვენთვის ასევე საინტერესო იქნება წარმოვადგინოთ, თუ რა წილი უჭირავს საქართველოს თურქეთის მთლიანი ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაში.

თურქეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სია ასე გამოიყურება:

თურქეთის 2018 წლის ძირითადი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნები

2.1

	ქვეყნები	2018 წლის ექსპორტი (ათასი აშშ $)	პროცენტული წილი მთლიან ექსპორტში
1	გერმანია	16142648	9,61
2	დიდი ბრიტანეთი	11110876	6,61
3	იტალია	9562729	5,69
4	ერაყი	8350137	4,97
5	აშშ	8304460	4,94
6	ესპანეთი	7711734	4,59
7	საფრანგეთი	7295224	4,34
8	ჰოლანდია	4761888	2,83
9	ბელგია	3951541	2,35
10	ისრაელი	3894853	2,31

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ვხედავთ თუქეთის ძირითადი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნების რიგებში შედიან გერმანია 9,61 % ით მთლიანი ექსპორტისა, გერმანია უკვე წლებია თურქეთის ნომერ პირველი საექსპორტო

პარტნიორი ქვეყანაა, შემდეგ მოდის დიდი ბრიტანეთი 6,61 % ით, შემდეგ იტალია 5,69 პროცენტული წილით, ერაყი 4,97% ით, ამერიკის შეერთებული შტატები 4,94 % ით, ესპანეთი 4,59 % ით, საფრანგეთი 4,34 % ით, ჰოლანდია 2,83 % ით ბელგია 2,35 %ით და 2,31 % ით ისრაელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე კარგად დავინახავთ რომ თურქეთის ძირითადი საექსპორტო არეალი ევროპის ქვეყნებია, ძირითადი 10 საექსპორტო პარტნიორიდან 7 ევროპის ქვეყანაა, ერთი აშშ, ერთიც თურქეთის მეზობელი ერაყი და ბოლო მეათე პოზიციაზე თურქეთის საზღვაო მეზობელი სამხრეთიდან, ისრაელი. ისიც უნდა ითქვას, რომ თურქეთის ძირითად საექსპორტო პარტნიორთა რიგებს ევროპული ქვეყნები, უმრავლსობით ბოლო ხუთი წელია იკავებენ. ასევე უნდა ითქვას რუსეთზეც, 2014 წლამდე რუსეთი თურქეთის საექსპორტო პარტნიორებში ათეულში შედიოდა ხოლო ამის შემდგომ რუსეთი აღარ შედის ათეულში, რისი მიზეზიც, მეტწილად, 2015 წელს თურქეთის მიერ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება და შემდგომ რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციებით აიხსნება. თუმცა იმპორტის თვალსაზრისით რუსეთი თურქეთის საიმპორტო პარტნიორებს შორის ლიდერ პოზიციებს იკავებს.

2018 წლის მონაცემებით თურქეთის მთლიან ექსპორტში საქართველო 0,78 % წილით არის წარმოდგენილი, 1315235 მილიონი დოლარის ოდენობის პროდუქცია შემოდის ჩვენს ქვეყანაში.

რაც შეეხება თურქეთის საიმპორტო ქვეყნების სიას 2018 წლის მონაცემებით, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

2018 წელს თურქეთის საიმპორტო ქვეყნების სიაში პირველი ადგილი რუსეთის ფედერაციას უკავია 9,85 % ით მთლიანი იმპორტის მოცულობაში, რაც 21989582 მილიონი დოლარია.

თურქეთის ძირითადი საიმპორტო პარტნიორები

2.2

1	ქვეყანა	იმპორტის	პროცენტული წილი
1	რუსეთი	21989582	9,85
2	ჩინეთი	20719090	9,28
3	გერმანია	20407148	9,14
4	აშშ	12377680	5,54
5	იტალია	10156024	4,55
6	ინდოეთი	7535658	3,37
7	დიდი ბრიტანეთი	7446033	3,33
8	საფრანგეთი	7413038	3,32
9	ირანი	6931257	3,10
10	კორეის რესპუბლიკა	6342932	2,84
70	საქართველო	233872	0,104

აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რუსეთი, თურქეთის საიმპორტო პარტნიორებს შორის ყოველთვის ტოპ სამეულში იყო ჩინეთთან და გერმანიასთან ერთად. როგორც ცხრილიდან, ჩანს რუსეთს თურქეთის საიმპორტო პარტნიორებს შორის მოსდევს ჩინეთი 9,28 % ით მთლიანი იმპორტისა, შემდეგ მოდის გერმანია მთლიანი იმპორტის 9,14 % ით, შემდეგ მეოთხე ადგილს უკვე წლებია სტაბილურად აშშ იკავებს 5,54 % ით, მას მოსდევს იტალია 4,55 % ით, შემდეგ ინდოეთი 3,37 % ით, მომდევნოა დიდი ბრიტანეთი 3,33 % ით, შემდეგ საფრანგეთი - 3,32 % ით, ირანი 3,10 % ით, კორეის რესპუბლიკა 2,84 % ით.

უნდა აღინიშნოს ის, რომ როგორც საექსპორტო პარტნიორებში ისე საიმპორტო მაჩვენებლებშიც ევროზონის ქვეყნები ლიდერობენ, საიმპორტო ქვეყნების შემთხვევაში ესენი არიან გერმანია, იტალია, საფრანგეთი, და დიდი ბრიტანეთი ჯამში 20,32 % ია თურქეთის 2018 წლის მთელი იმპორტისა.

საქართველო აღნიშნულ ჩამონათვალში 70-ე პოზიციას იკავებს, მასზე თურქეთის იმპორტის 0,104% წილი მოდის.

თურქეთის სავაჭრო სტრუქტურა წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ფართო დეფიციტით ხასიათდება, რისი მიზეზიც ძირითადად ენერგო რესურსების იმპორტისა და ისეთი სახის ექსპორტის წარმოებაა, რომელიც იმპორტიებული ნახევარფაბრიკატების გამყენებით ხდება, სავაჭრო ბალანსის მსგავსი ევოლუცია რა თქმა უნდა მიბმულია ეკონომიკურ ზრდასთან. თურქეთმა 2017 წელს 233800 მილიონი აშშ დოლარის პროდუქციის იმპორტი განახორციელა, მაშინ როცა, ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობამ თანხობრივად 157020 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. თურქეთის მთავრობა აქტიურად ცდილობს წაახალისოს ადგილობრივი ენერგო რესურსების გამოყნება ქვეყანაში, აქტიურ ინვესტირებას ახდენს განახლებადი ენერგო რესურსების წარმოებაში, რათა შემცირდეს ამ მიმართულებთ გაზრდილი იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობა. აღნიშნულმა პოლიტიკამ და იმან, რომ 2018 წელს თურქული ლირის კრიზისის გამო ლირამ თავისი გაუფასურების მაქსიმუმს მიაღწია (1$ = 5,71 ლირა), თურქული საქონელი უცხოელებისთვის უფრო იაფი გახდა, რამაც შეუწყო ხელი თურქეთის ექსპორტის ზრდას და ყოველივე ამის გამო თურქეთის სავაჭრო დეფიციტი 28,4% ით შემცირდა.

ინფლაცია თურქეთში ბოლო ორი წელია უკვე ორნიშნა ნიშნულს ცდება, თურქული ლირის ასეთი მკვეთრი გაუფასურების უმთავრესი მიზეზი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაფუჭებაა, ფარული დაპირისპირება აშკარა 2016 წლის არშემდგარი გადატრიალების შემდეგ გახდა. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი აშშ-ისგან გადატრიალების მცდელობის ორგანიზებაში ბრალდებულ ფეთულა გიულენის ექსტრადაციას დაჟინებით მოითხოვს, რასაც ვაშინგტონი არ თანხმდება, უთანხმოება გაიზარდა სირიის კონფლიქტთან მიმართებაშიც, ანკარა ტრამპს ქურთების

მხარდაჭერის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ამერიკის გაღიზიანება გამოიწვია რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებამაც რომლის ძალითაც თურქეთს დაჩქარებული წესით S400-ის ტიპის ანტისარაკეტო სისტემები გადაეცემა, რის გამოც შეიძლება თურქეთმა მეხუთე თაობის ბომბდამშენები - F35-ები ვეღარ მიიღოს.

ბლუმბერგის ინფორმაციით თურქეთმა უკვე შეიძინა აღნიშნული სარაკეტო სისტემა რუსეთისგან და აშშ ამის გამო სანქციების დაწესებას უპირებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში თურქული ლირა 2 ჯერ და უფრო მეტადაც გაუფასურდა დოლართან მიმართებით. 2014 წლის ივნისში 2,15 ლირას უდრიდა 1 დოლარი, ხოლო დღეს - 1 დოლარი = 5,72 ლირას უდრის.

ბუნებრივია აღნიშნული გარემოება საქართველოზეც უარყოფითად აიასახება, იმ კუთხით, რომ თურქეთთან წლების განმავლობაში არსებული სავაჭრო დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება რადგან ქართველი იმპორტიორებისთვის თურქული პროდუქცია უფრო იაფი გახდება, რითიც ადგილობრივ წარმოებას კიდევ ფრო გაუწევენ კონკურენციას, ამასთანავე თურქეთში დასაქმებული ქართველი ემიგრანტებისთვისაც ცუდია, რადგან ისინი რეალურად უფრო ნაკლებ ხელფასს აიღებენ და შესაბამისად ნაკლები უცხორი ვალუტა შემოვა საქართეველოში, რაც ერთ ერთია იმ ფაქტორთაგან რომლებიც ლარის სიმყარეს უზრუნველყოფენ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თურქეთში

თურქეთში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ბოლო 15 წლის განმავლობაში, ქვეყნების მიხედვით შემდეგი სახისაა: 2.3



როგორრც დიაგრამიდან ჩანს თურქეთისათვის როგორც ძირითადი სავაჭრო პარტნიორების უმრავლესობა ევროპის ქვეყნებია, ასევეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაშიც, თურქეთის ინვესტორები ძირითადად ევროპული ქვეყნიდან არიან. დიდი ბრიტანეთი 11,8% ით, ჰოლანდია 11,30% ით, გალფის ქვეყნები (საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ქუვეითი, ომანი და ყატარი) 9,40 % ით არიან წარმოდგენილები თურქეთის საინვესტიცო პარტნიორ ქვეყნებს შორის, შემდეგ მოდის აშშ 9,30 % ით, შემდეგ ესპანეთი 6,60 % ით, გერმანია 6,1 % ით მას მოყვება რუსეთი ასევე 6,1 % ით, აზერბაიჯანი 4 % ით, იაპონია 2 % ით, შვეიცარია 1,7 % ით და ჩინეთი 1,3 % ით.

თურქეთი 766.51 მილიარდი დოლარის მთლიანი შიგა პროდუქტით მე-17 ადგილს იკავებს მსოფლიო მასშტაბით, მისი წილი მსოფლიო ეკონომიკაში 1,24 % ია, თურქეთის მშპ 2013 წელს 950,58 მილიარდი დოლარი შეადგინა და მას შემდეგ ვარდნას იწყებს, რიგი ობიექტური მიზეზების გამო.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია თურქეთის მშპ-ს ზრდის ტენდენცია 2003 წლის შემდეგ, როგორც დიაგრამიდან ჩანს, თავიდან თურქეთი აღმავლობას განიცდის შემდეგ 2008 წლის ფინანსური კრიზისის გამო, ისევე როგორც უმრავლესობა მსოფლიო ქვეყნებისა რეცესიას განიცდის, შემდეგ ისევ იზრდება თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 2013 წლამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ დროს თურქეთში მშპ ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს და 950,58 მილიარდ დოლარამდე ადის. 2013 წლის შემდეგ უკვე რეგიონში მიმდინარე კრიზისული პოლიტიკური ვითარების გამო და თურქეთში არსებული შიდა პოლიტიკური კრიზისის გამოც თურქეთის ეკონომიკა რეცესიას განიცდის, რაც მის მშპ-ზეც აისახა და იგი დღესდღეობით 766,51 მილიარდი აშშ დოლარია.

2.4


თურქეთის მშპ
2003 -2009
1000
800
600
400
200
2004
2007
2010
2013
2016
2019
ss://tradingeconomics.com
Activate Windows

მშპ-ს წლიური პროცენტული ზრდაც ასახავს თურქეთის ეკონომიკაში კრიზისისა თუ აღმავლობის ხანას, 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს თურქეთის მთლიანი შიგა პროდუქტის წლიური ზრდა უარყოფითი იყო, 2013 წელს თურქეთის ეკონომიკის აღმავლობის ხანაში მშპ-ს წლიური პროცენტული ზრდა ორნიშნა ნიშნულზეც კი ავიდა, მას შემდეგ კი მშპ-ს დაბალი პროცენტული ზრდით ხასიათდება თურქეთის ეკონომიკა: 2.5



უმუშევრობის დონე თურქეთში 13%-მდე გაიზარდა 2019 წლის მარტი-მაისის თვის მიხედვით, ანალოგიური მაჩვენებელი 2018 წელს 9,6% იყო, რაც 2018 წლის ყვეაზე მცირე მაჩვენებელი იყო ოქტომბრიდან დეკემბრამდე. უმუშევართა რიცხვი გაიზარდა

1,116 მლნ ადამიანით, წინა წლის მაჩვენებელით 4,202 მილიონი ადამიანი იყო უმუშევარი. სამუშაო ადგილების მოცულობა 810 ათასით შემცირდა 28,199 მილიონამდე. სექტორების მიხედვით, რომ განვიხილოთ არასასოფლო სამეურნეო სექტორში 491 ათასი სამუშაო ადგილი გაქრა ხოლო სასოფლო სამეურნეო სექტორში 329 ათასი სამუშაო ადგილი, ამავდროულად სამუშაო ძალიდან 306 ათასი ადამიანი ამოვარდა რამაც მათი რიცხვი გაზარდა 31,401 მილიონამდე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია 2005 წლიდან დღემდე თურქეთში უმუშევრობის დონე. დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში დღესდღეობით უმუშევრობა იგივე დონეზეა რაზეც 2008-2009 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს იყო. ეს მდგომარეობა რა თქმა უნდა საქართველოზეც იმოქმედებს, რადგან თურქეთში მომუშავე ქართველი მიგრანტები სამუშაოს დაკარგავენ და შესაბამისად თურქეთიდან გადმორიცხული თანხებიც შემცირდება რაც კიდევ უფრო მძიმე იქნება საქართველოსთვის იმ ფონზე, როცა თურქეთი არის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა საქართველოსთვის.

2.6



თურქეთში 2019 წლის ივნისის მონაცემებით ინფლაციის მაჩვენებელი 15,72% მდე შემცირდა, წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელი 18,71 % იყო. აღნიშნული მაჩვენეელი ყველაზე დაბალი იყო წინა წლებთან შედარებით. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა სადაც კარგად ჩანს, რომ თურქეთში 2006 წლის შემდეგ 2018 წლამდე ინფლაცია ორნიშნა ნიშნულს რამდენიმეჯერ ჩამოცდა, ისიც არასრული წლით, ასევე კარგად ჩანს თუ დღესდღეობით რა კრიზისულ სიტუაციაშია. 2017 დან მოყოლებული თურქეთში ინფლაცია ორნიშნა ნიშნულს აცდენილია, რისი შედეგიც არის ლირის ასეთი მკვეთრი გაუფასურება. ინფლაციას კიდევ უფრო დაამძიმებს, თუ აშშ და ევროკავშირი მართლაც დაუწესებენ სანქციებს თურქეთს თავისი მოქმედებების გამო (იგულისხმება რუსეთისგან სარაკეტო სისტემის ყიდვა, რასაც აშშ ეწინააღმდეგებოდა და ახლახანს კვიპროსის სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში საბურღი სამუშაოების გამო, რასაც ევროკავშირი ეწინააღმდეგება. ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ ადგილას გაზის მსხვილი მოცულობის საბადოა.)

2.7



II. 1 საქართველოს მაკროეკონომიკული მაჩვენებლები

საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა თავისი რესურსებიდან გამომდინარე, ფართობი 69700 კმ² - ია ხოლო მოსახლეობა 2017 წლის მონაცემებით 3723,5 ათასი კაცი. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისების გადატანა მოგვიხდა, დღესდღეობით ტერიტორიის 20% პროცენტი ოკუპირებულია და ქვეყანაში ქრონიკულად კრიზისული ვითარებაა ამ მხრივ.

დღესდღეობით ქვეყანა განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება.

ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: მთლიანი შიგა პროდუქტი 2018 წლის მონაცემებით 16,21 მილიარდი დოლარია. მშპ-ს მაქსიმალური მაჩვენებელი 2014 წელს დაფიქსირდა 16,51 მილიარდი დოლარის ოდენობით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის ცვლილება 1990 წლიდან დღემდე.

2.8



სიტუაცია უკეთ რომ დავინახოთ, თუ როგორ ვითარდებოდა ეკონომიკა თითოეული მოქალაქისთვის საშუალოდ, ამისთვის მოვიშველიოთ მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით და წარმოვადგინოთ გრაფიკის სახით.

2.9



აღნიშნულ გრაფიკებს თუ დავაკვირდებით კარგად დავინახავთ თუ როგორ ემთხვევა ქვეყანაში, თუ რეგიონში, მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისული მომენტები მთლიანი შიგა პროდუქტის შემცირებას. 1992-1993 წლის ომი, შემდგომი მძიმე კრიზისული მომენტი იყო 1998 წლის რუსეთის დეფოლტი, რაც განსაკუთრებით აისახა დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკაზე და მათ შორის საქართველოზეც, რადგან რუსეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მნიშვნელოვანია ასეთ კრიზისულ სიტუაციებში მთვრობის ჩართულობა რათა ეკონომიკა აღნიშნულ მდგომარეობიდან მაქსიმალურად ნაკლები ზიანით გმაოვიდეს. 1998 წელს რუსეთის დეფოლტი სწორედ ასეთი ვითარება იყო, ,, შექმნილ ვითარებაში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია იყო, რომ ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები აღარ გაეგრძელებინა, ლარის კურსის რეგულირება შეეწყვიტა, რაც ეროვნული ბანკის ხელთ არსებული დოლარის რეზერვის შენარუნებას უზრუნველყოფდა. ამ რეკომენდაციის გაზიარება აშკარად სავალალო შეეგებამდე მიგვიყვანდა: ლარის კურსის რეგულირების შეწყვტა მის ვარდნას მყისიერად გამოიწვევდა, რასაც სავალუტო ბაზარზე პანიკა მოჰყვებოდა, და რაც თავის მხრივ, ლარის კურსს კიდევ უფრო დასცემდა.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის უდიდეს დამსახურებად უდა იქნას მიჩნეული, რომ მათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეს, რეკომენდაცია არ გაიზიარეს და ლარის თანდათანობითი დევალვაციით ბანკებს,მთლიანად მოსახლეობას მისცეს სიგნალი მათ ხელთ არსებული თანხები ლარებიდან დოლარებში გადაეყვანათ. ეს ოპერაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს ათეულობით მილიონი დოლარი დაუჯდა, მაგრამ იმ მომენტისთვის, როცა მან ბანკთაშორის ბირჟაზე ინტერვენციები შეწყვიტა, ლარის კურსი უკვე იმდენად დევალვირებული იყო, და რაც მთავარია, კომერციული ბანკებისთვის საშისი ვერ იქნებოდა, რადგანაც მათ ხელთ ლარის მინიმალური ოდენობა ჰქონდათ შემორჩენილი). ''[8] ეროვნული ბანკის ამ ნაბიჯებმა რუსეთის დეფოლტის დამანგრეველი ზეგავლენისგან ეკონომიკური აგენტები გაკოტრებას აარიდეს.

კიდევ ერთი კრიზისული მომენტი ჩვენი ქვეყნისთვის 2008 წლის, როგორც მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ასევე აგვისტოს ომი იყო, ამ მომენტისთვის, რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების, და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნბის ფინანსური დახმარება ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა.

2015 წლის რუსული რუბლის დაახლოებით 85% იანმა გაუფასურებამ საქართველოს ეკონომიკაზეც იმოქმედა, ვინაიდან რუსეთი სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის, ამასთანავე ფულადი გზავნილების

[8] პაპავა ვ., 2015, გვ 58-59.

მნიშვნელოვანი წილიც რუსეთზე მოდის, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობითაც რუსეთი საქართველოსთვის ლიდერ პოზიციებზეა.

საქართველოში უმუშევრობის დონე 2018 წელს შემციტა 12,7 % მდე წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელი 13,9 % იყო. უმუშერობის საშუალო დონე 1998 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 14,7 % ია, ამ დროის განმავლობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის მაჩვენებელი ფინანსური კრიზისის დროს 2009 წელს 18,3 % იყო ხოლო უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2000 წელს 10,3 %. ქვემოთ მოცემულია 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საქართველოში უმუშევრობის დონე : კლების ტენდენციით ხასიათდება მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ საქართველოში შექმნილი სამუშაოს ხარჯზე ხდება არამედ, კლების ტენდენციით ხასიათდება ასევე სამუშაო ძალის რაოდენობაც რაც სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ სამუშაო ძალა ან ვარდება სამუშაო ძალის სტრუქტურიდან ან შრომითი მიგრანტი ხდება. დღესდღეობით საქართველოს დაახლოებით 800 ათასამდე შრომითი მიგრანტი ყავს.

2.10

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2 004.5	1 978.6	1 984.6	2 018.0	1 996.2	1 983.1	1 939.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1 659.4	1 643.4	1 694.4	1 733.8	1 717.3	1 706.6	1 694.2
უმუშევარი, ათასი კაცი	345.1	335.2	290.2	284.2	278.9	276.4	245.7
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	17.2	16.9	14.6	14.1	14.0	13.9	12.7

ის, რომ უმუშევრობის დონე კლებულობს ეს რა თქმა უნდა ეკონომიკურად დადებითი ტენდენციაა, მაგრამ შინაარსი თუ არ იცვლება უმუშევრობის პროცენტული ცვლილებით, ეს ქვეყნისთვის უარყოფითი მოვლენაა. სამუშაო ადგილების ზრდამ უნდა შეამციროს უმუშევრობა და არა მოსახლეობის მიგრაციამ.

2019 წლისთვის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ივნისის თვეში 4,3%-მდე დაეცა რაც წინა თვეში 4,7 % იყო, ფასები ძირითადად შემცირდა საკვებ პროდუქტებზე და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის პროდუქტებზე და სიგარეტებზე, ფასები სტაბილური იყო ტრანსპორტზე და კომუნალურ მომსახურებაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ ფასები გაიზარდა ავეჯეულობაზე, დასვენება-კულტურაზე და ასევე რესტორნებსა და სასტუმროებზე.

ქვემოთ მოცემულია ინფლაციის დონე 2003-2019 წლებში, მთავრობას ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა აქვს აღებული, 3 % იანი ინფლაციის მაჩვენებლით.

2.11



საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა დეფიციტურია, იგი უარყოფითი სავაჭრო ბალანსით ხასიათდება, 2018 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12 476.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 16.8 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 3 354.5 მლნ. აშშ დოლარს (22.6% მეტი), ხოლო იმპორტი 9 122.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (14.8% მეტი). 2018 წელს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5 767.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

უახლესი მონაცემები საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ შემდეგია, 2019 წლის იანვარ-მაისში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 4 959.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 1.1 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1 466.7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (14.2 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 3 492.8 მლნ. აშშ დოლარს (3.6 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2019 წლის იანვარ-მაისში 2 026.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს ექსპორტი 1995 წლის შემდეგ 21,5 ჯერ არის გაზრდილი. ექსპორტი საშუალოდ 10,36 % ით იზრდებოდა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოს ძირითადი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნები 2018 წლის მონაცემებით, პირველ ადგილზეა, მეზობელი სახელმწიფო, აზერბაიჯანი 14,96 %-იანი მთლიანი ექსპორტის წილით, აზერბაიჯანი საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებითაც ლიდერობს, ასევე თურქეთთან ერთად სამხრივ მეგა პროექტებშია აქტიურად ჩართული, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი- ყარსის რკინიგზა. საქართველოს ექსპორტში რუსეთი მე-2 ადგილს იკქვებს 13,01 % წილით. სამწუხაროდ რუსეთი ყველაზე არასტაბილური ბაზარია, დამოუკიდებლობის განმავლობაში, რუსეთთან დაძბული პოლიტიკური ურთიერთობა აქვს საქართველოს, ქვეყნის 20 % ოკუპიებული აქვს, და ამასთანავე რუსეთი თავის ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებს პოლიტიკური ზეწოლისთვის.

2.12

2018 წელი	ქვეყნები	ათასი აშშ $	%
	ექსპორტი - სულ	**3 355 712,2**	**100**
	დსთ-ს ქვეყნები	**1 669 480,0**	**49,75**
	ევროკავშირის ქვეყნები	**730 688,9**	**21,77**
1	აზერბაიჯანი	502 042,4	**14,96**
2	რუსეთი	436 646,8	**13,01**
3	სომხეთი	278 689,8	**8,30**
4	ბულგარეთი	258 866,8	**7,71**
5	თურქეთი	233 497,2	**6,95**
6	ჩინეთი	198 034,9	**5,9**
7	უკრაინა	175 044,7	**5,21**
8	აშშ	159 971,4	**4,76**
9	ყაზახეთი	90 808,7	**2,7**
10	უზბეკეთი	80 487,7	**2,39**
11	შვეიცარია	77 453,2	**2,3**
12	ირანი	74 155,1	**2,2**
13	ესპანეთი	62 131,1	**1,85**
14	რუმინეთი	57 829,2	**1,72**
15	გერმანია	51 540,1	**1,53**

საქართველოსთვის მე-3 ყველაზე დიდი საექსპორტო პარტნიორი ისევ მეზობელი ქვეყანა სომხეთია, მისი საექსპორტო წილი 8,3 % ია. შემდეგ მოდის ბულგარეთი 7,71 % - ით, თურქეთი საქართველოს საექსპორტო ქვეყნების სიაში მე-5 ადგილს იკავებს 2018 წლის მონაცემებით 233 497,2 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია

შევიდა თურქეთში საქართველოდან, რაც მთლიანი ექსპორტის 6,95 % ია. უნდა აღინიშნოს ის, რომ 7,2 % იათაა გაზრდილი თურქეთსი ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა.

საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებულმა 10 უმსხვილესმა პოზიციამ 175 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და თურქეთში მთლიანი ექსპორტის 75.4% დაიკავა. ეს პოზიციებია:

- მაისურები, თბილი კვართები - 40.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 17.5%);
- ფეროშენადნობები - 32.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 14%);
- ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატები-22.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 9.7%);
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 18.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 8%);
- ელექტროენერგია -13.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი 6%);
- მამაკაცის კოსტუმები, კომპლექტები -11.0 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.7%);
- თევზის ფქვილი - 9.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.1%);
- ციანიდები, ოქსიდციანიდები - 7.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.4%);
- შავი ლითონის ნარჩენები და ჯართი - 7.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.1%);
- თევზის ცხიმები - 6.9 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.0%);
- დაუმუშავებელი ტყვია - 4.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2%)

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან თურქეთში ექსპორტი 1995 წლის შემდეგ საშუალოდ 2,75 % ით იზრდება. მაქსიმალური მაჩვენებელი ექსპორტის მოცულობისა დაფიქსირდა 2008 წელს 262, 910 მილიონი დოლარის ოდენობით.

1995 წლიდან საექსპორტო პარტნიორებში რუსეთი ლიდერობდა და შემდეგ მას თურქეთი მოყვებოდა, თურქეთის წილი მაშინდელი ექსპორტის მოცულობაში 22,1% იყო, აღნიშნული მდგომარეობა შეიცვალა 2000 წელს თურქეთის სასარგებლოდ, და იგი ნომერი პირველი საექსპორტო პარტნიორი გახდა საქართველოსთვის, 2000 წელს თურქეთის წილი მთლიან ექსპორტში შეადგენდა 23%-ს

	თურქეთის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში							
წელი	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
%	**22,1**	**12,8**	**16,2**	**10,9**	**15,8**	**23,0**	**22,0**	**15,5**
წელი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
%	**17,9**	**18,3**	**14,1**	**13,2**	**13,9**	**17,6**	**19,9**	**12,9**
წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
%	**10,4**	**5,9**	**6,3**	**8,4**	**8,5**	**8,2**	**7,9**	**7,0**

2.13

თუმცა მომდევნო წელს ისევ შეიცვალა მდგომარეობა. იგივე მოხდა 2004 წელსაც. შემდეგ უკვე 2006 წელს რუსეთის ემბარგომ იმოქმედა, რასაც საქართველოს ექსპორტის შემცირება მოყვა რუსეთში. ამ დროს თურქეთი კვლავ ლიდერი საექსპორტო პარტნიორი გახდა საქართველოსთვის 2009 წლის ჩათვლით, 2010 წელს აზერბაიჯანი ხდება ნომერ პირველი საექსპორტო პარტნიორი, 2012 წელს თურქეთი მე-5 პოზიციაზე ინაცვლებს საექსპორტო პარტნიორებს შორის. (უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2012 წლიდან რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ხდება, რის შემდეგაც იგი საქართველოს საექსპორტო პარტნიორებს შორის ლიდერ პოზიციებში ბრუნდება.) თურქეთი 2014 წელს სიდიდით მე-4 საექსპორტო პარტნიორია აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის შემდეგ, 2015 წელს წელს 8,5 % იანი წილით მესამე ადგილზე, აზერბაიჯანისა და ბულგარეთის შემდეგ, 2016

წელს ისევ მესამე პოზიციაზეა, თუმცა ამჯერად ლიდერ პოზიციებს რუსეთი და ჩინეთი ანაცვლებენ მეზობელ ქვეყნებს, 2017 წლის ტოპ სამ საექსპორტო პარტნიორ ქვეყანას შორის თურქეთი ისევ მესამეზეა, მას რუსეთი და აზერბაიჯანი უსწრებენ, ხოლო 2018 წელს თურქეთი 7% იანი წილით საქართველოს ექსპორტში მე-5 ადგილს იკავებს, ლიდერ პოზიციებს კი აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი და ბულგარეთი იკავებენ.

2.14



საქართველო იმპორტ დამოკიდებული ქვეყანაა, პროდუქციის ძირითადი ნაწილი იმპორტირებულია, რაც განაპირობებს იმას რომ წლებია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი უარყოფითია.

1995 წლის შემდეგ საქართველოს მთლიანი იმპორტი 18,7 ჯერ არის გაზრდილი, იმპორტის ზრდა საშუალოდ 9,8% ით ხდებოდა. იმპორტის მაქსიმალური რაოდენობა 2018 წელს 9 136 736,1 ათასი აშშ დოლარი დაფიქსირდა .

საქართველოს მთავარი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები 2018 წლის მონაცემებით არიან: თურქეთი 16,1 % იანი წილით მთლიანი იმპორტის მოცულობაში, 2018 წელს თურქეთიდან 1 473 024,2 ათასი აშშ დოლარის პროდუქცია შემოვიდა საქართელოში, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 7 % - ით მეტია. ისტორიულად იმპორტის ყველაზე მაღალი მოცულობა თურქეთიდან განხორციელდა 2014 წელს 1 728 815,7 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. 1995 წლიდან 2018 მდე თურქეთიდან იმპორტი საშუალოდ 8,2 % ით იზრდებოდა, რაც გაცილებით მაღალია ვიდრე საქართველოდან თურქეთსი ექსპორტირებული პროდუქციის ზრდის საშუალო მაჩვნებელი 2,75 % , რაც კიდევ ერთხელ გამოკვეთილად უჩვენებს თუ რა სტრუქტურა მიიღო წლების განმავლობაში თურქეთ საქარველოს შორის ვაჭრობის დისბალანსმა.

თურქეთიდან იმპორტირებულმა 10 უმსხვილესმა პოზიციამ 353.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და თურქეთიდან მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა. ეს პოზიციებია:

- სამკურნალო საშუალებები - 60.3 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.1%);
- მილები, მილაკები სხვა შავი ლითონისაგან - 49.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.3%);
- მსუბუქი ავტომობილები - 44.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3%);
- მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან -37 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2.5%);
- იზოლირებული მავთულები, კაბელები -31.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2.1%);
- ახალი საბურავები -27.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%);
- სანჰიგიენური ნაწარმი, ბავშვის საფენები -27.0 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%);
- ტანსაცმლის თარგები - 26.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%);
- პლასტმასის მილები, ფიტინგები - 25.4 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.7%);

• სარეცხი და საწმენდი საშუალებები - 25.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1,7%).

თურქეთის შემდეგ, 2018 წლის მონაცემებით, საიმპორტო პარტნიორ ქვეყნებს შორის ლიდერობენ რუსეთი 10,2 % იანი წილით მთლიან იმპორტში, შემდეგ მოდის ჩინეთი 9,1 % იანი წილით, სიდიდით მე-4 ყველაზე დიდი საიმპორტო პარტნიორი ჩვენი ქვეყნისთვის არის აზერბაიჯანი 6,5 % იანი წილით, მე - 5 კი 5,6 % ული წილით მთლიან იმპორტში. უნდა ითქვას რომ იმპორტის მოცულობაში ევროკავშირის ქვეყნების წილიც მაღალია და ის 27,1 %-ს შეადგენს.

2.15

თურქეთის იმპორტის წილი საქართველოს მთლინ იმპორტში								
წელი	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
%	**19,0**	**11,0**	**12,0**	**11,2**	**11,5**	**15,7**	**14,2**	**11,3**
წელი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
%	**9,8**	**11,0**	**11,4**	**14,2**	**14,0**	**14,9**	**17,6**	**16,9**
წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
%	**18,1**	**18,2**	**17,6**	**20,1**	**18,2**	**18,6**	**17,3**	**16,1**

2018 წლის საქართველოს ყველაზე მსხვილი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები			
	ქვეყნები	ათასი აშშ $	პროცენტული წილი
	იმპორტი – სულ	**9 136 739,1**	**100,0**
	დანარჩენი ქვეყნები	**3 935 328,0**	**43,1**
	დსთ-ს ქვეყნები	**2 695 283,7**	**29,5**
	ევროკავშირის ქვეყნები	**2 506 127,4**	**27,4**
1	თურქეთი	1 473 024,2	**16,1**
2	რუსეთი	934 891,6	**10,2**
3	ჩინეთი	833 894,0	**9,1**
4	აზერბაიჯანი	593 014,8	**6,5**
5	უკრაინა	514 766,8	**5,6**
6	გერმანია	431 454,4	**4,7**
7	აშშ	359 524,9	**3,9**
8	სომხეთი	335 271,6	**3,7**
9	საფრანგეთი	262 591,7	**2,9**
10	იტალია	231 427,0	**2,5**
11	იაპონია	215 245,7	**2,4**
12	რუმინეთი	209 192,7	**2,3**
13	ნიდერლანდი	205 308,8	**2,2**
14	ბულგარეთი	181 594,9	**2,0**
15	ირანი	177 741,7	**1,9**

2.16

ასე გამოიყურება საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ათეული:

	ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
	სულ	**3 355 712,2**	**9 136 739,1**	**12 492 451,3**	**-5 781 026,9**
1	**თურქეთი**	**233 497,2**	**1 473 024,2**	**1 706 521,4**	**- 1 239 527,0**
2	რუსეთი	436 646,8	934 891,6	1 371 538,4	- 498 244,8
3	აზერბაიჯანი	502 042,4	593 014,8	1 095 057,2	- 90 972,4
4	ჩინეთი	198 034,9	833 894,0	1 031 928,9	- 635 859,0
5	უკრაინა	175 044,7	514 766,8	689 811,5	- 339 722,1
6	სომხეთი	278 689,8	335 271,6	613 961,4	-56 581,8
7	აშშ	159 971,4	359 524,9	519 496,3	- 199 553,4
8	გერმანია	51 540,1	431 454,4	482 994,6	- 379 914,3
9	ბულგარეთი	258 866,8	181 594,9	440 461,7	77 272,0
10	საფრანგეთი	44 747,2	262 591,7	307 338,8	- 217 844,5

2.17

2018 წლის მონაცემებით საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში თურქეთი პირველ ადგილზეა, როგორც ზემოთ აღინიშნა თურქეთი 2007 წლიდან პირველ ადგილზეა საგარეო ვაჭრობის მოცულობით პარტნიორ ქვეყნებს შორის. თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ მოცემულია დიაგრამა რომელზეც ასახულია 2018 წლის საგარეო ვაჭრობაში ტოპ 10 ქვეყანა .

2.18



II. 2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

2018 წელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 34.9 პროცენტით შემცირდა და 1 232.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების მიხედვით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს აზერბაიჯანი, გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები წარმოადგენენ.

წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 281.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6.3 პროცენტით ნაკლებია 2018 წლის I კვარტალის მონაცემებზე. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში. უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურაში პირველ ადგილზე ირლანდიაა 47.4 პროცენტით, მეორე ადგილზე გაერთიანებული სამეფოა - 15.1 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე აშშ - 8.0 პროცენტით.

ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 42.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შემდეგ მოდის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედით						
	ქვეყანა	2015 წელი	%	ქვეყანა	2016 წელი	%
	სულ	1 665 557,6	100	სულ	1 565 837,6	100
1	აზერბაიჯანი	581 624,4	34,9	აზერბაიჯანი	558 458,6	35,66
2	გაერთიანებული სამეფო	398 813,2	23,94	თურქეთი	209 795,9	13,39
3	ნიდერლანდი	158 535,6	9,51	გაერთიანებული სამეფო	105 510,0	6,73
4	ლუქსემბურგი	105 959,0	6,36	ლუქსემბურგი	88 773,3	5,66
5	თურქეთი	74 592,3	4,47	ჩეხეთი	87 011,2	5,55
6	ჩინეთი	66 947,6	4,01	პანამა	75 850,3	4,84
7	რუსეთი	51 382,3	3,08	ნიდერლანდი	72 260,0	4,61

2.19

	ქვეყანა	2017 წელი	%	ქვეყანა	2018წელი	%
	სულ	1 894 491,3	100	სულ	1 232 447,9	100
1	აზერბაიჯანი	465 040,8	24,54	აზერბაიჯანი	240 007,1	19,47
2	ნიდერლანდი	356 701,4	18,82	გაერთიანებული სამეფო	203 670,8	16,52
3	თურქეთი	288 108,7	15,2	ნიდერლანდი	167 854,2	13,61
4	გაერთიანებული სამეფო	247 383,9	13,05	აშშ	103 673,4	8,41
5	ჩეხეთი	142 519,2	7,52	პანამა	74 735,1	6,06
6	აშშ	79 710,6	4,2	ჩეხეთი	72 338,5	5,86
7	ლუქსემბურგი	68 325,2	3,6	ჩინეთი	65 400,8	5,3

2.20

როგორც ცხრილიდან ჩანს უკვე ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში ინვესტიციების მთავარი წყარო აზერბაიჯანია, აღნიშნული უკავშირდება მაგისტრალური მილსადენის მშენებლობას. თურქეთიდან საქართველოში 2015

წელს მთლიანი ინვესტიციების 4,47 % შემოვიდა რაც 74 592,3 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

მომდევნო წელს თურქეთიდან შემოსული ინვესტიციები 181 % ით გაიზარდა და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 13,39 % შეადგინა. 2017 წლისთვის თურქეთი FDI -ის სიდიდით მე-3 ქვეყანა იყო საქართველოსთვის, 288 108,7 ათასი დოლარი 15,2 პროცენტს შეადგენდა მთლიანი ინვესტიციებისას, 2018 წელს კი საქართველოდან თურქეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადინებას ჰქონდა ადგილი 11 293,1 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით თურქეთი არასოდეს დომინირებდა, ისე როგორც სავაჭრო ურთიერთობებში დომინირებს 1996 წლიდან მოყოლებული თურქული პირდაპირი უცხოური ინვესტიციბის რაოდენობა საქართველოს FDI - ს მთელ მოცულობაში მხოლოდ 8 % ს შეადგენს, ამ მაჩვენებლით თურქეთი საქართველოსთვის 5 ადგილზე იმყოფება, პირდაპირი უცხოური ინვსტიციების მთლიანი რაოდენობით აზერბაიჯანი პირველ ადგილზეა 14,2% ით, შემდეგ მოდის გაერთიანებული სამეფო 11,2 % ით, მესამე ყველაზე დიდი ინვესტორი ქვეყანა საქართველოსთვის არის ნიდერლანდები 11 % ით, შემდეგ მოდის აშშ 8,06 % ით.

აღნიშნულ პერიოდში თურქეთიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიდიოდა სატრანსპორტო სექტორში, ასევე სამშენებლო სეტორში, გადამამუშავებელ მრეწელობაში და სასტურმოებისა და რესტორნების ბიზნესში.

საერთაშორისო ვიზიტორებს შორის თურქეთის წილი მნიშვნელოვანია, იგი 2018 წლის მონაცემებით მეოთხე ადგილს იკავებს, აზერბაიჯანის რუსეთისა და სომხეთის შემდეგ, თურქეთის წილი საქართველოში საერთაშორისო ვიზეტორების რაოდენობაში 15,3 პროცენტია. ზოგადად კი ვიზიტორების სტატისტიკა 2017-2018 წლებში ასე გამოიყურება:

2.21

	ქვეყანა	2017	%	2018	%
1	აზერბაიჯანი	1301556	20,1	1424610	19,8
2	რუსეთი	1135057	17,5	1404757	19,5
3	სომხეთი	1287168	19,9	1268886	17,6
4	**თურქეთი**	**1007276**	**15,5**	**1098555**	**15,3**
5	საქართველო (არარეზიდენტი	456132	7,0	476389	6,6
6	ირანი	282549	4,4	291070	4,0
7	უკრაინა	169862	2,6	177058	2,5
8	ისრაელი	115041	1,8	156922	2,2
9	პოლონეთი	48913	0,8	66903	0,9
10	გერმანია	43091	0,7	64486	0,9

2.22

საერთაშორისო ვიზიტორების და ზოგადად ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი საგადასახდელო ბალანსისთვის მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა, 2018 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 3,22 მილიარდ დოლარს (ზრდა +19,1%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0,52 მილიარდი დოლარი შეადგინა (ზრდა + 13,2%). შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 2,7 მილიარდ დოლარს, რაც წინა წელთან შედარებით 20,4 % ით მეტია.

თურქული კომპანიები საქართველოში, უპირატესად, ცენტრალური ინფრასტრუქტურის პროექტებში მონაწილეობენ. ასე მაგალითად, თურქულ კომპანიებს მრავალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ჩააბარეს. Anadolu-ჯგუფმა 2014 წელს დასრულებული ფარავნის ჰიდროელექტროსადგური ააშენა (მთლიანი მოცულობა: დაახლოებით 85 მეგავატი) და მის 90 პროცენტიან წილს ფლობს. მან მსგავსი ელექტროსადგური ხედულაში, ქვემო-სვანეთშიც უნდა ააგოს. Calik-ჰოლდინგმა მდინარე რიონზე სადმელისა და ალპანას კაშხლები, Ahlatci-ჯგუფმა კი სამეგრელო-ზემო სვანეთში დოლრას ელექტროსადგური უნდა ააშენოს. ეს თანამშრომლობა იმ გეგმის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს, საქართველო არცთუ ისე შორეულ მომავალში ელექტროენერგიის გამომუშავების ადგილად აქციოს, რათა ეს ენერგია შემდგომ თურქეთში იქნეს ექსპორტირებული. ამას გარდა, სტამბოლში რეგისტრირებულ TAV Havalimanlari Holding-ს თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ინფრასტრუქტურა აბარია. ბათუმის აეროპორტის აფრენისა და დაფრენის ბილიკები, როგორც ექსტრა ტერიტორიული ტრასები, თურქეთის შიდა ფრენებისთვისაც კი გამოიყენება. ჩასხდომა და ჩამოსვლა კი 30 კილომეტრით მოშორებულ თურქულ სასაზღვრო ქალაქ Hopa-ში ხდება, რომელიც აეროპორტს ავტობუსის პირდაპირი ხაზის საშუალებით უკავშირდება. გარდა ამისა, თურქული ფირმები უპირატესად ვაჭრობის, სამშენებლო სექტორისა და სამკერვალო ინდუსტრიის სფეროში გვხვდება. თურქული კომპანიების სპექტრი მრავალ სექტორში მოღვაწეობის გარდა, მცირე და საშუალო საწარმოებსაც მოიცავს, მათ

შორის, ცნობილი თურქული ფირმებისა, რომლებმაც საქართველოში დიდი თანხების ინვესტირება მოახდინეს.

მეორე მხრივ კი, თურქეთი ქართველი სამუშაო მიგრანტებისთვის მნიშვნელოვანი სამიზნე ქვეყანაა. გეოგრაფიული სიახლოვისა და სამი თვის განმავლობაში უვიზოდ გაჩერების შესაძლებლობის გამო, საქართველოდან თურქეთში მისვლა-მოსვლის სახის მიგრაციასთან გვაქვს საქმე. თურქეთში ძირითადად ქალები ჩადიან ტურისტული ვიზებით ოჯახის ქალებად სამუშაოდ. მამაკაცები კი მეტწილად სეზონურ სამუშაოზე მუშაობენ, მშენებლობაზე, ანდა სოფლის მეურნეობაში. ასეთი სახის დასაქმებულთა სტატისტიკური აღრიცხვა ძნელია, მაგრამ არსებობს თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს მონაცემები: 2018 წელს ქართული პასპორტით თურქეთის მიმართულებით 2.069392 მილიონმა ადამიანმა გადაკვეთა საზღვარი. რითიც თურქეთის ვიზიტორებს შორის მე-5 პოზიციას ვიკავებთ.[9]

II.3 საქართველო თურქეთის თანამშრომლობა ენერგეტიკულ სფეროში

ენერგეტიკა არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელშიც თურქეთი და საქართველო აქტიურად თანამშრომლობენ, კერძოდ აზერბაიჯანული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება მილსადენებით. ორი მთავარი მილსადენი აკავშრებს ამჟამად აღნიშნულ ორ ქვეყანას ესენია: სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი აირის მილსადენი, ცნობილი როგორც ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენი, ან შაჰ დენიზის მილსადენი, და ბაქო-თბილისი- ჯეიჰანის ნავთობსადენი.

სამხრეთ კავკასიის მილსადენი შეიქმნა იმისთვის, რომ შაჰ დენიზის ბნებრივი აირი და ასევე კასპის ზღვის ბუნებრივი აირის სხვა წყაროებიდან მოხდეს მისი ტრანსპორტირება თურქეთში, ხოლო თურქეთიდან ევროპის ბაზარზე.

[9] http://www.kultur.gov.tr/EN-204278/monthly-border-bulletin-december-2018-is-published.html

მილსადენის სიგრძე 651 კმ-ია აქედან 249 კმ საქართველოს ტერიტორიაზეა. თურქეთის საზღვართან მილსადენი უკავშირდება თურქეთის მიერ აშენებულ მილსადენის ნაწილს, რომელიც სამხრეთ კავკასიის მილსადენს აერთებს ერზრუმის გაზის მიწოდების სისტემასთან.

აღნიშნული მილსადენის მშენებლობა 2006 წელს დასრულდა. მაგისტრალური მილსადენით გაზის ნაკადის გატარება 2007 წელს მოხდა. პროექტის მთლიანი ღირებულება 1 მილიარდ დოლარს აღწევდა. მილსადენის მფლობელია კონსორციუმი, რომელშიც გაერთიანებულია ისეთ კომპანიები როგორებიცაა: British Petroleum (BP), Statoil, SOCAR, Lukoil, NICO, TOTAL და TPAO, აღნიშნლი კომპანიები პარტნიორები არიან პროექტის განვითარებაში. BP პროექტის ტექნიკური ოპერატორია, ხოლო Statoil -ი კომერციული ოპერატორი, დასრულებული პროექტიდან მილსადენით შესაძლებელი იქნება 21-24 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირის გადაზიდვა. პროექტის ხელშკრულების თანახმად საქართველო მხოლოდ ტრანზიტული ქვეყანა არ არის, ,,კერძოდ, სამხრეთ კავკასიის მილსადენით შაჰ-დენიზის ბუნებივი გაზის საქართველოსთვის მოწოდების პირობები განისაზღვრება ოპციური გაზის და დამატებითი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, რომლებიც გაფორმებულია SCP და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას შორის. ოპციური გაზის ხელშეკრულება ძალაშია 60 წლის, დამატებითი გაზის კი-20 წლის განმავლობაში. როგორც ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების თანახმად, SCP გაზსადენში გატარებული სატრანზიტო გაზის მოცულობის 5% საქართველოს მიეწოდება. თუმცა 2016 წელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები იქნა გადახედილი, რომლის დეტალები უცნობია. ნატურით მიღებული სატრანზიტო გადასახადი (ოპციური გაზი), დამატებით გაზთან ერთად, არის ქვეყნის ენეგეტიკული უსაფრთხოებისა და შიდა სოციალურპოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი, რადგან უზრუნველყოფს გაზის ფასების შენარჩუნებას შეღავათიანი პირობებით საბაზრო ფასებთან მიმართებაში გრძელვადიან პერსპექტივაში''

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით შესაძლებელია უმოკლესი გზით ნავთობის ტრანსპორტირება კასპის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე. მთელი სიგრძე მსოფლიოში ერთ-ერთი უგრძესი ნავთობსადენისა წარმოადგენს 1768 კმ-ს, საიდანაც აზერბაიჯანის მხარეს 443 კმ-ია, საქართველოზე გადის 249 კმ, ხოლო თურქეთის მხარეს 1076 კმ. მილსადენს 8 სატუმბო სადგური აქვს, 2 საქართველოში,2 აზერბაიჯანში და 4 თურქეთში. მილსადენის მშენებლობაზე დაიხარჯა 4 მლრდ აშშ დოლარი.

პროექტის მფლობელია საერთაშორისო კონსორციუმი რომელშიც შედის ადგილობრივი კომპანია BTC Co და მასთან ერთად კიდევ 11 პარტნიორი კომპანია. მილსადენის ოპერარირებას ახდენს BP, ხოლო პროექტის ფინანსური მხარდამჭერი საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია და EBRD არიან. მილსადენის ექსპლუატაციაში გაშვებისთვის საქართველოს ბიუჯეტში 50 მლნ აშშ დოლარი შევიდა პირდაპირი ტრანზიტისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ევროკავშირისთვის მნიშველოვანი აქტორია, ,,სამხრეთის გაზის კორიდორში'' (SGC), რომელიც თავის მხრივ (PCI) კლასტერის საერთო ინტერესს წარმოადგენს. აღნიშნული მასშტაბული ტრანსპორტირების ინტეგრირებული ინფრასტუქტურა, მინიმუმ 10 მლრდ კუბუური მეტრი ბუნებრივი აირის გადატანის შესაძლებლობას იძლევა კასპიის ზღვის საბადოდან, აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის გავლით საბერძნეთსა და იტალიაში მისაწოდებლად, აღნიშნული ასევე მოიცავს თურქმენეთის საბადოს დაკავშირებას ევროპულ ბაზართან, ორივე მათგნი ცნობილია როგორც, TCP ტრანს კასპიური მილსადენი და ტრანს ანატოლიის ბუნებრივი აირის მილსადენი, TANAP.

კიდევ ერთი დიდი პროექტი, რომელიც აგრეთვე სამმხრივი თანამშრომლობის ხარჯზე გაკეთდა, აზერბაიჯანთან და თურქეთთან ერთად არის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა რომელიც აზიის ბაზარს უფრო იაფად და სწრაფად დააკავშირებს ევროპის ბაზართან. ბაქო- თბილისი - ყარსის რკინიგზა ოფიციალურად 2017 30 ოქტომბერს გაიხსან, მის გახსნას ხუთი ქვეყნის ოფიციალური პირებიც

ესწრებოდნენ: აზერბაიჯანი, საქართველო თურქეთი, ყაზახეთი და უზბეკეთი. აღნიშნული გზა რუსეთის ჩრდილოეთის გზის ალტერნატივად მოიასაზრება და მას ,,რკინის აბრეშუმის გზადაც“ მოიხსენიებენ. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობით კიდევ უფრო იზრდება საქართველოს როგორც სატრანსპორტო ჰაბის მნიშვნელობა და პარტნიორი ქვეყნები კიდევ უფრო დაინტერესებული იქნებიან, საქართველოში, როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური იყოს. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სიგრძე 826 კილომეტრია, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე 254 კილომეტრი გაივლის. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის საქართველოს მონაკვეთი მოიცავს 22 ხიდს, 13 სადგურს, 24 გზაგამტარს და 4 თოვლდამცავ გალერეას. ვარაუდობენ, რომ ეტაპობრივად, ყოველწლიურად 17 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა და მილიონამდე მგზავრის გადაყვანა იქნება შესაძლებელი.

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა აზერბაიჯანსა და თურქეთთან მსგავსი მეგა სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში რისი პოზიტიური გამოცდილებაც უკვე არსებობს და თან საქართველოზე გამავალი გზა, როგორც უკვე აღინიშნა უმოკლესია, ევროპასთან დასაკავშირებლად. ამასთანავე პოლიტიკური თვალსაზრისით უმჯობესია ნეიტრალურ ქვეყანასთან ერთად განახორციელო მსგავსი სახის პროექტი რა სიტუაციაშიც აზერბაიჯანისთვის ახლა ჩვენ ვართ სომხეთთან შედარებით.

II. 4 თურქულ აფხაზური ურთერთბა

თურქეთი ოფიციალურად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. თუმცა ანკარას მხოლოდ საქართველოს ძირითად ნაწილთან კი არ აქვს ურთიერთობა, არამედ - არასამთავრობო დონეზე აფხაზეთის განდგომილ დე ფაქტო სახელმწიფოსთანაც, რომელიც საქართველოს კონტროლს არ

ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთს ეკონომიკური და საზოგადოებრივი კუთხით უწინარეს ყოვლისა რუსეთთან აქვს მჭიდრო კავშირი, ამ განდგომილი ტერიტორიისთვის თურქეთთან ურთიერთობაც მნიშვნელოვანია.

თურქეთ აფხაზეთის ურთიერთბას ისტორიული ხასიათი აქვს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა აფხაზეთის სათავადო 1578 წელს ოსმალეთის იმპერიის ნაწილი გახდა და შემდეგი ორი საუკუნის განმავლობაში ძლიერი კულტურული და რელიგიური გავლენა იქონია. 1810 წლიდან აფხაზეთი ცარისტული იმპერიის პროტექტორატი ხდება, რუსეთის იმპერიის ფარგლებში კი მხოლოდ 54 წლის შემდეგ 1864 წელს შეძლო პეტერბურგმა მისი მოქცევა. ცარისტული იმპერიისგან შევიწროებული მოსახლეობა ოსმალეთში მიგრირებდა.

დღესდღეობით თურქეთში არსებული აფხაზური დიასპორის ზუსტი სიდიდე უცნობია, სავარაუდო მონაცემებით 150 000, ხოლო ზოგი მონაცემის მიხედვით - ერთი მილიონი ადამიანიც კი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე 150 000 ადამიანთან გვაქვს, თურქეთში უფრო მეტი აფხაზი ცხოვრობს, ვიდრე თვით აფხაზეთში. 1945 წლის შემდგომ ეს დიასპორა ოთხი ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის აფხაზებისგან იზოლირებული იყო. მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს გახდა შესაძლებელი მათ შორის კონტაქტის დამყარება. თურქეთის ლიბერალური კლიმატის წყალობით მოხერხდა მანამდე ცალ-ცალკე არსებული დიასპორული ორგანიზაციების გაერთიანება

თურქეთი როგორც ზემოთ აღინიშნა არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას ამიტომ მასთან ოფიციალური კონტაქტი არ აქვს, თუმცა ირიბად, კავშირი თურქეთის მოქალაქე აფხაზ დიასპორულ ჯგუფებს აქვთ, მათ შორის დიასპორული ჯგუფის იმ ნაწილსაც, რომლებიც ხელისუფლებაში არიან წარმოდგენილები. 1994-1996 წლებში ტრაპზონსა და სოხუმს შორის ხალხის გადამყვანი რეგულარული საბორნე კავშირიც კი არსებობდა. ასევე გამოიყენებოდა საქართველოს ძირითად ნაწილზე გამავალი გზაც.

,,აფხაზეთის დე ფაქტო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2013-2014 წლებში თურქეთი აფზახეთის ნომერ მეორე ეკონომიკური პარტნიორია რუსეთის შემდგომ, აფხაზეთის სავაჭრო ბრუნვა ქვეყნების მიხედვით აჩვენებს, რომ მთელი ეკონომიკური ბრუნვის 14% პროცენტი მოდის თურქეთზე, 60%- რუსეთზე, ხოლო დარჩენილი 26%- სხვა პარტნიორ ქვეყნებზე. ექსპორტის მიხედვითაც, როგორც ნომერ მეორე ყველაზე მსხვილ პარტნიორს, თურქეთს მთელი ბაზრის 28% უკავია, მაშინ, როცა იმპორტის მაჩვენებელი 12%-ითაა განსაზღვრული.

ვაჭრობა აფხაზეთსა და თურქეთს შორის საზღვაოსნო მიმოსვლის გზით ხორციელდება, მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლიდან თურქეთი დსთ-ის სხვა ქვეყნებთან ერთად შეუერთდა ეკონომიკურ ემბარგოს აფაზეთის წინააღდეგ. 1999 წლიდან დღემდე საქართველოს სანაპირო დაცვამ 60-მდე გემი დააკავა, რომლებიც უკანონოდ კვეთდნენ საქართველოს საზღვაო სივრცეს აფხაზეთის მიმართულებით და უკან.''[10]

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ბრძანებით კი, მთავრობა უფლებას იტოვებს საკუთარი კანონმდებოლობის დასაცავად შეზღუდოს საზღვაო გადაადგილების თავისუფლება საქართველოს საზღვაო ეკონომიკური ზონის ფარგლებში შავ ზღვაში. შესაბამისად, აფხაზეთთან ყოველგვარი ურთიერთობა კოორდინირებული უნდა იქნეს საქართველოს მთავრობასთან, რასაც თურქული მხარე არ ასრულებს.

,,განსაკუთრებით არასახარბიელო სიტუაცია შეიქმნა 2009 წელს, როცა ქართულმა მხარემ დააკავა თურქული გემი „ბაკეტი“. ქართულმა სასამართლომ გემის კაპიტანს მიუსაჯა ოცდახუთწლიანი პატიმრობა. კაპიტნის გათავისუფლება მხოლოდ მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრისა და ახლანდელი პრემიერ - მინისტრის აჰმედ დავითუღლუს მოთხოვნის შემდეგ გახდა შესაძლებელი.''[11]

[10] https://netgazeti.ge/news/39028/
[11] https://netgazeti.ge/news/39028/

,,აფხაზეთთან ვაჭრობაში მონაწილე თურქული კომპანიების უმეტესობა ან აფხაზურ დიასპორას ეკუთვნის, ან მასთან კავშირი აქვს. აფხაზური კომპანიებიც თურქეთთან საქმიანი კონტაქტების გაბმამდე და ამ კონტაქტებისგან დამოუკიდებლადაც, თურქეთში არსებულ დიასპორასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია სამთომომპოვებელი კომპანია Tkvarčal-ugol'. ეს თურქულ-აფხაზური ერთობლივი საწარმო ქვანახშირს ღია კარიერით მოიპოვებს და 2002 წლიდან მოყოლებული, აწარმოებს თურქეთში მის ექსპორტს. Tkvarčal-ugol' ტყვარჩელის რაიონში უმნიშვნელოვანესი კომპანიაა, ამ რაიონის საბიუჯეტო შემოსავლების დიდ ნაწილს ამ კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადები შეადგენს.''[12]

2009 წელს ევროკავშირმა აფხაზეთის მიმართ გასატარებელი ახლებური პოლიტიკა შეიმუშავა, რომლის დევიზიცაა „ურთიერთობა აღიარების გარეშე" და მიზნად ისახავს აფხაზეთის იზოლაციის შეწყვეტას, რათა ერთგვარად დაუპირისპირდეს აფხაზეთში რუსეთის პრობლემატურად აღქმულ დომინირებას, მრავალმხრივი გახადოს ამ დე ფაქტო სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობები და, ამ გზით, ერთმანეთს დაუახლოვოს თბილისი და სოხუმი. თუმცა აფხაზეთიდან წამოსული წინააღმდეგობის გამო აღნიშნული ვერ განხორციელდა, რადგან ევროკავშირი აფხაზეთში მიკერძოებულ მხარედ აღიქმება.

თურქეთი რამდენიმეჯერ გამოვიდა ინიციატივით მედიატორის როლი ეთამაშა აფხაზეთ-თბილისს შორის კონფლიქტის მოგვარებაში მაგრამ ბუნებრივია არ გამოუვიდა, რადგან აფხაზეთს მართალია დიასპორულ დონეზე აქვს ეკონომიკური და ,,არაოფიციალურად პოლიტიკური'' ურთიერთობა თურქეთთან, თუმცა იგი დიდწილად დამოკიდებულია რუსეთზე ამიტომ თურქეთს მხოლოდ მედიატორის როლის გამო სრულ ნდობას ლოგიკურია არ გამოუცხადებს. მით უმეტეს როცა რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს თურქეთი კი თბილისის ოფიციალურ პოლიტიკას იზიარებს როგორც მსოფლიოს 188 ქვეყანა.

[12] https://ge.boell.org/ka/2018/02/05/mqipe-conascoroba-turketi-sakartvelo-da-de-pakto-saxelmcipo-apxazeti#_ftn85

თავი III. საქართველო თურქეთის თანამშრომლობის გამოწვევები

ვინაიდან თურქეთი უკვე წლებია ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია და თან საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობითაც მსხვილი წილი უკავია, აღნიშნული გარემოება ეკონომიკისთვის პრობლემურია. ერთ ერთი დასკვნა თურქეთის ეკონომიკის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით არის ის, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ბაზრის დივერსიფიცირება, რადგან არ არის მიზანშეწონილი და რაციონალური, როცა ქვეყნის ტოპ სავაჭრო პარტნიორს საგარეო ვაჭრობის ორნიშნა პროცენტი უჭირავს, ეს არის რისკი იმისა, რომ თუ თურქეთში რაიმე კრიზისულ სიტუაციას ექნება ადგილი, ეს აუცილებლად ჩვენზეც იმოქმედებს და თან ამ მოქმედების არეალი მეტად ფართო იქნება, რაც ჩვენი მცირე ზომის ეკონომიკისთვის დამანგრეველი იქნება. ზოგადად ბაზრის დივერსიფიცირება არ ახალია და ეს არა მხოლოდ თურქეთის ბაზრის მიმართ უნდა განვახორციელოთ არამედ, ზოგადად ქვეყანა მუდმივად უნდა ისწრაფვოდეს არ იყოს მეტწილად რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ბაზარზე დამოკიდებული ან რომელიმე კონკრეტული სექტორის ბაზარზე, იქნება ეს აგრარული ბაზარი თუ ბუნებრივი ნედლეულის ბაზარი ა.შ. თვითონ თურქეთის მთავრობა აქტიურად ცდილობს ბაზრის დივერსიფიცირებას, რადგან მისი საგარეო ვაჭრობის 47,1 % ევროპაზე მოდის, ამიტომ ბოლო პერიოდში აქტიურად ცდილობენ აქცენტირება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე, გააკეთონ და აზიის ბაზარზე ცდილობენ აქტიურად შევლას.

ეკონომიკური კრიზისის დროს დივერსიფიცირებული ბაზარი საშუალებას გვაძლევს, კრიზისის კომპენსირება მოვახდინოთ სხვა სავაჭრო პარტნიორთან ეკონომიკური ურთიერთბის გაღრმავებით ან სხვა სექტორის უფრო გაძლიერებით და ა.შ.

უნდა გავიდეთ ევროპულ ბაზარზე უფრო აქტიურად, დღესდღეობით აშშ-სთან მიდის მოლაპარაკება ბაზრეის გახსნასთან დაკავშირებით, რაც ერთმნიშვნელვნად დადებითი მოვლენაა, მაქსიმალურადუნდა მოვახდინოთ ბაზრის დივერსიფიცირება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებშიც. არ უნდა ვიყოთ ძირითადად რომელიმე სექტორზე დამოკიდებული (მაგ ტურიზმზე).

რა თქმა უნდა ბაზრის დივერსიფიცირება არ ნიშნავს იმას რომ ჩვენ რომელიმე ბაზარზე უარი უნდა ვთქვათ, არამედ ტრადიციულ ბაზრებზე უნდა დავრჩეთ და ვეძიოთ ახალი ბაზრები. პროგრამა მინიმუმი შეიძლება ითქვას უნდა იყოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში თიოთოეული ქვეყნის წილის ერთნიშნა ნიშნულამდე ჩამოყვანა.

საქართველოსა და თურქეთს შორის უნდა გაგრძელდეს აქტიური თანამშრომლობა აზია ევროპის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების კუთხით.

საჭიროა თურქული ინვსტიციების და ზოგადად ინვესტიციების მოზიდვა სამრეწველო სექტორის განვითარების კუთხით. მთავრობამ ბიძგი უნდა მისცეს ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებას კონკრეტულ სექტორებში. სოფლის მეურნეობის სექტორის გასვითარებლად და თურქული პროდუქციისთვის კონკურენციის გასაწევად საჭიროა, აქტიური მოლაპარაკებების წარმოება თურქეთთან რათა ქვოტები, გარკვეულ, ჩვენთვის მომგებიან პროდუქტებზე, გაუქმდეს. თურქეთი ევროკავშირის მსგავსად პროდუქტის უვნებლობის დამადასტურებელ სერთიფიკატს EURO1-ს ითხოვს რისი მიღებაც მეწარმეებისთვის ფუფუნებას წარმოადენს, 2000 $ მდე ღირს ერთი ლაბორატორიული კვლევის ხარჯი.

მაგალითისთვის გამოდგება ქართული თაფლის ექსპორტირების პოტენციალი თურქეთში; თაფლზე თურქეთს 200 ტონა ქვოტა აქვს საქართველოსთვის, წინა წელს მისი რაოდენობა 20 % ით გაიზარდა მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი საკმაოდ დიდი რაოდენობით თაფლს აწარმოებს მასზე მოთხოვნა მაინც მაღალია. ერთდროულად საჭიროა მოლაპარაკებების წარმოება თურქეთთან თაფლის ქვოტის გაზრდაზე, და იმ საბაჟო გადასახადების გაუქმებაზე რაც თურქეთში აღნიშნული პროდუქციის შეტანისას არის საჭირო რომ მეწარმემ გადაიხადოს, ამასთანავე მეწარმეების ხელშეწყობა თანადაფინანსებით, ლაბორატორიულ კვლევებში, თაფლის წარმოებაში თანამედროვე გამოცდილების გაზიარებისთვის თაფლის ქართველ მეწარმეებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები, ამასთანავე სახელმწიფომ უნდა მისცეს მოტივაცია მეწარმეებმა შექმნან კოოპერატივები, ასევე რეკლამირების და ბრენდირების საკითხების გადაჭრაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული სამთავრობო ჯგუფი. ქართული თაფლით

დაინტერესებულია რამდენიმე ევროპული კომპნია, რომლებიც დარწმუნდნენ ქართული თაფლის მაღალხარისხიანობაში და ნატურალურობაში, იგი ევროპულ ბაზარზე ძვირიან სეგმენტში გავა, რის გამოც ქართული თაფლით შემოსული ფინანსური მოგება უფრო მეტი იქნება ვიდრე ბაზარზე მყოფი სხვა მსგასი პროდუქციისა. არსებობს ევროპული კონკრეტულად კი ლიტვური გამოცდილებაც თაფლის წარმოებაში და მთავრობის დახმარების კუთხით საჭიროა ამ გამოცდილების გაზიარებაც. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ თაფლზე გადასახადი თაფლის იმპორტიორებსაც აქვთ. 12% ია იმპორტის გადასახადი და დღგ ჩვეულებრივ. აგრეთვე ორი სახის სერთიფიკატი საერთაშორისო ვეტერინარული სერტიფიკატი და სხვ. საჭიროა იმის შესწავლა თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ქართული პროდუქტი და ამის შემდეგ ლიბერალიზაცაზე საუბარი იქნება რაციონალური.

ტურისტული მომსახურეია თურქეთის ეკონომიკის ერთ ერთი წამყვანი დარგია, 2018 წლის მონაცემებით ტურიზმს თურქეთის ეკონომიკის 6,4 % უკავია და მისი სავალუტო შემოსავლებიც ტურიზმზე მოდის, თურქეთს დიდი გამოცდილება აქვს შეძენილი ტურიზმის განვითარების სფეროში, საქართველოს კი მძლავრი ტურისტულო პოტენციალი აქვს, რომლის სრულიად გამოვლენისთვის საჭრიოა ამ სფეროში თურქეთის გამოცდილების გაზიარება. უმჯობესი იქნება ტურიზმის ძვირადღირებულ სექტორზე გაკეთდეს აქცენტი გამოცდილების გაზიარებისას. სწორედ ეს უნდა იქცეს ტურიზმის სფეროში ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობის საფუძვლად.

საჭიროა 2007 წლის თურქეთთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გადაიხედოს და ორივე მხარისთვის მომგებიანი პოზიციის ხელშეკრულება დაიდოს. არა ცალმხრივი არამედ რეალურად მომგებიანი რადგან აღნიშნული ხელშეკრულებაც ხელს უწყობს იმას, რომ თურქეთთან სავაჭრო დისბალანსი ასეთი მასშტაბურია და ასევე, იმპორტის საშუალო ზრდის მაჩვენებელი უფრო მეტია თურქეთიდან ვიდრე ექსპორტის საშუალო ზრდის მაჩვენებელი საქართველოდან.

ამასთანავე საჭიროა შრომითი მიგრანტების საქმიანობის კანონიერ ჩარჩოში მოქცევა, რათა ორივე მხარემ სარგებელი ნახოს, თურქეთმა იმით, რომ შრომითი მიგრანტებისგან გადასახადების სახით თურქეთის ბიუჯეტში თანხა შევა, ხოლო საქართველოს მხარის შრომითი მიგრანტები დაცული იქნებიან, ხელშეკრულებით, შრომის უსამართლო აუნაზღაურებლობას არ ექნება ადგილი, ამასთანავე სამუშაო პირობებიც კანონის ფარგლებში იქნება მოქცეული, რა თქმა უნდა აღნიშნულმა სიტუაციამ შესაძლოა შემოსავლები შეუმციროს შრომით მიგრანტებს, მაგრამ ყველაფრის კანონიერ ჩარჩოში მოქცევა გაზრდის დასაქმებულების უსაფრთხოების ხარისხს.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ როგორც გამოჩნდა საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების განვითარების ისტორიის მანძილზე ყოველთვის იყო ორივე მხრიდან დაინტერესება ერთმანეთის მიმართ.

თურქეთი ყოველთვის იჩენდა ინტერესს საქართველოში ვაჭრობის გაძლიერებით, რადგან საქართველო წარმოადგენდა მისი საექსპორტო პროდუქციის გასაღების წყაროს, ამავდროულად აზიის ქვეყნებისკენ სატრანზიტო დერეფანს.

გარკვეული პოლიტიკური ვითარებანი საქართველოს ხელს უშლიდა გრძელვადიანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დაემყარებინა თურქეთთან. 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში შეიზღუდა თურქეთთან, მაშინდელ ოსმალეთთან, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. საიმპერიო პერიოდში, საგარეო ვაჭრობაში 1821-1831 წლებში იყო თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, თუმცა აღნიშნული ხანმოკლე პერიოდი არ იყო გადამწყვეტი. მას შემდეგ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობდა საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირებას. აღნიშნული ურთიერთობები კი მხოლოდ 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღდგა. აღდგა ოღონდ თანამედროვე სტანდარტების, საერთაშორისოდ მიღებული ნორმების მიხედვით, ანუ ძველი ტრადიციული ურთიერთობები ახალმა კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა ჩაანაცვლა. დღესდღეობით თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია, მასთან გვაქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ხდება ორმხრივი შეთანხმებებით, რეგიონალურ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩართვით. თანამედროვე ეტაპზე თურქეთმა და საქართველომ შეიძინეს ერთნაირი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ორივე ქვეყანა ვიმყოფებით ევროპისა და აზიის

დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფანზე, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს თუ რატომაა თურქეთი დაინტერესებული ჩვენი ქვეყნით.

საქართველო თურქეთისთვის, არის საკუთარი სამრეწველო ნაწარმის გასაღების ბაზარი, ამავდროულად აზიის ბაზრებისკენ მიმავალი სატრანსპორტო გზა, საკუთარი გამოთავისუფლებული კაპიტალის საინვესტიციო ბაზა, იაფი მუშახელის ახლო წყარო, დროებითი იაფი შრომითი მიგრანტების მოზიდვის ბაზა, ამიტომ თურქეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციების მქონე ქვეყანას წარმოადგენს საქართველო, როგორც ეკონომიკურად ისე გეოპოლიტიკურად.

ანალოგიურად საქართველოსთვის თურქეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია, ჩრდილოეთის მეზობელთან დაძაბული ურთიერთობის შემდეგ თურქეთი უდიდესი სავაჭრო პარტნიორია, და თანდათან იზრდება სავაჭრო ბრუნვა.

საქართველოსთვის თურქეთი არის საკუთარი პროდუქციის უდიდესი გასაღების ბაზარი, ინვესტიციების მოზიდვის წყაროც, მიუხედავად ბოლო წელს ინვესტიციების შემცირებისა, საკუთარი აუთვისებელი რესურსების ასათვისებლად, და ასევე, რა თქმა უნდა ევროპის ბაზრებისკენ მიმავალი სატრანსპორტო დერეფანი. TANAP -ის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-ყარსის და სხვა მეგა პროექტების ერთ-ერთი მთვარი პარტნიორი ქვეყანა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, სტაბილური, თანამშრომლობასა და მეგობრობაზე დაფუძნებული სტრატეგიული ურთიერთობის უფრო გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ათანელიშვილი თ., ,,ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში'' , უნივერსალი, თბილისი, 2006;
2) ანჩაბაძე ჯ. ,, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის საკითხები (1918-1921 წლები)'' , ბარტონი, თბილისი, 2004;
3) ა. სილაგაძე ,,ეკონომიკური დოქტრინები'' ,,ინოვაცია'', თბილისი, 2010.
4) ,,თეორიული ეკონომიკის საფუძვლები'' საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი 1996
5) კაციტაძე დ. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიიდან. (XVII-XVIII საუკუნეებში); გამომცემლობა ''თსუ'' . თბილისი, 1992
6) ლინდერტი პ. ,,საერთაშორისო ეკონომიკა'' თბილისი, ,,სიახლე'' 2011.
7) პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი. ,, ეკონომიქსი '', გამომცემლობა ,,ეკონომიკა და სამართალი'' თბილისი, 1992
8) რ. ჯაშია. ვაჭრობა და ვაჭართა ფენა დასავლეთ საქართველოში (XVII-XIX საუკუნეებში) . თბილისი, 1994
9) ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა'' , გაზეთი ,,24 საათი'' , 17 მაისი 2008 წელი
10) სეხნიაშვილი ც. ,,ეკონომიკის ისტორია ნაწილი I'' . თბილისი, ,, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა'' 2000
11) ქათამაძე დ. დისერტაცია ,,საქართველო თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები'' თბილისი, 1998
12) ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი, 1997.
13) შ. ლომსაძე. დასავლეთ საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობა XVII-XIX საუკუნეებში). თბილისი 1994

14) ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკა გლობალური კრიზისის ფონზე, „ეკონომიკა და ბიზნესი“, N6, ნოემბერი-დეკემბერი, 2010.

15) ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები (მონოგრაფია), თბილისი, უნივერსალი, 2016

16) საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. (2012). ლიბერალური აკადემია თბილისი.

17) ეკონომიკური მიმოხილვა, (2016). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

18) პაპავა, ვ., სილაგაძე, ა. (2019). ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის - “Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N1, თბილისი, გვ. 180-182.

19) შ. ვეშაპიძე, ა. გრიშიკაშვილი, ე. ლეკაშვილი, ნ. ასლამაზაშვილი ,,მსოფლიო ეკონომიკა'' თბილისი, ,,ვერჟე'' 2008

20) კაკულია მ. ქართული ექსპორტის ევროპული ჰორიზონტი. გაზეთი ”24 საათი”, 2007 წ. 11 ივნისი.

21) პაპავა ვ. პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2013.

22) ხარიტონაშვილი ჯ. ,,ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები '' , გამომცემლობა: ,,საქპროფგამი'', 1997

23) პაპავა ვ. ,,საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმბი'' გამომცემლობა : ,,ინტელექტი'' თბილისი 2015

24) მექვაბიშვილი ე. (2018).გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი. გამომცელობა „ინტელექტი“.

25) ვაჭრობის საკითხები, 2014, საქართველო ევროკავშირი. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში.

26) გ. ღაღანიძე, საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი VIII, N3,2015.

27) საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, 2015 წ .

28) ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, №1.

29) ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001.

30) სტიგლიცი ჯ. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. თბილისი, გამომცემლობა საუნჯე, 2012.

31) საქართველო-ევროკავშირის ბიზნესსაბჭოს გამოცემა” ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, 2014

32) Newsgeorgia. Железная дорога Баку-Тбилиси-Карс будет закончена в 2014 г,Retrieved

33) Kakulia M. Georgia’s Experiences on Developing Trade and Trade Policy Relations with the European Union. East European Studies, No. 5, 2014.

34) from http://newsgeorgia.ru/caucasus/20131206/216200844.html(Accessed Date: 2014, February 5)

35) Katsitadze, N., Natsvlishvili, I., 2017. Development Opportunities of MICE Tourism in Developing Countries: Case of Georgia. International Journal of Business and Management Studies, 06(01).

36) Putkaradze R. ACTUAL ISSUES OF THE FOREIGN TRADE OF GEORGIA. Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane JAvakhishvili Tbilisi State University. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 60th Birth Anniversary of Professor George Tsereteli NATIONAL ECONOMIES AND GLOBALIZATION (28-29 June, 2012). pp. 51-58

37) Putkaradze R., Trade and Economic Relations of Georgia: Problems and Perspectives, Universali, Tbilisi 2010.

38) Assessment of the impact of potential Free Trade Agreement between the EU and Georgia. UNDP, Georgia 2007.

39) Tsartsidze M. (2018). Unemployment and the effective employment problems in Georgia under the modern globalization terms. Institute of Researches and International Symposiums IRIS–ALKONA. Latvia. Journal of International Economic Research. ISSN 2500-9656. Volume 4. No.1.http://irissymposium.wixsite.com/website

40) Kovzanadze, I., "Partnesrship Fund" Invests in Every Priority Sector of The Country. Banks and Finances N 328, 2013;

41) Putkaradze R. Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie, Poland. 2015.

42) Katsitadze, N., Nacvlishvili, I., The Role of State Regulation and Policy in Tourism Development (Case of Georgia), 23rd EBES CONFERENCE –MDRID PROCEEDINGS., September 27-29.2017

43) Silagadze A. Priorities for the economy of postcommunist Georgia in the context of the world financial crisis. Problems of Economic Transition, 2013. Volume 56, Pages 3-16.

44) European Union, Trade in goods with Georgia, European Commission 2017.

45) Globalization and Economic Development of Georgia: Challenges and Possibilities, Collection of papers, Universali 2008. Guide to the Georgia–EU Association Agreement (frequently asked questions), 2014.

46) Pharjiani Sh., Foreign Direct Investment on Economic Growth by Industry, International Scientifi c Conference "Globalization and Statistics", Proceedings, Tbilisi, 2014,

47) Kakulia M., Strengthening of Bilateral Trade, the European Neighborhood Policy and Georgia, Analysis of independent experts (Friedrich Ebert Fund), Tbilisi 2007.

48) Papava Vl., Georgia's Economy - Reforms and Pseudo-Reforms, Intelekti 2015.

49) Putkaradze R., Perspectives of Georgia-European Union trade relacions. Istanbul international annual conference on the economic cooperation and development within the black sea basin Countries, Donetsk Nacional University, Collection of Scientific Works. Part I. Istambul-Donetck 2010.

50) Alberto Gabriele, "Exports of Services, Export of Goods, and Economic Growth in Developing Countries", Journal of Economic Integration, Vol.21.No.2 (June 2006), pp.294-317.

51) Europe 2020: Europe's growth strategy, Brussels 2013. Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova. European Commission - DG Trade, ECORYS, CASE, 2012. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2012/july/tradoc_149666.pdf

52) Educational and Labor Emigration of Youth from Georgia. In the book: Youth Employment: Challenges and Opportunities. The West University of Timisoara, Romania. "Eurostampa" 2012. pp.317-327

53) www.geostat.ge Foreign Trade of Georgia, National Statistics Office of Georgia 2017.

54) https://en.portal.santandertrade.com/analyse-markets/turkey/foreign-trade-in-figures#classification_by_country

55) http://www.worldstopexports.com/highest-value-turkish-export-products/

56) https://www.trademap.org/tradestat/Country_SelProductCountry_TS.aspx?nvpm=1%7c792%7c%7c%7c%7cTOTAL%7c%7c%7c2%7c1%7c1%7c1%7c2%7c1%7c2%7c1%7c1

57) https://tradingeconomics.com/turkey/inflation-cpi

58) https://www.bloomberg.com/news/articles/2019-07-13/trump-aides-pick-sanctions-to-punish-turkey-for-russian-missiles

59) https://m2b.ge/post/218690-turquli-lirisa-da-rusuli-rublis-kraxis-sesazlo-gavlenebi-saqartveloze

60) https://tradingeconomics.com/georgia/gdp

61) https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

62) http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf

63) https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Turkey_WEB.pdf

64) http://gtu.ge/pet/pdf/Science-Engineering/avtoreferatebi/davit%20ciskaridze.pdf

65) http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.aspx

66) International monetary fund: http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/01/weodata/weorept.aspx?sy=2014&ey=2014&ssd=1&sort=country

67) http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/ormxrivi-turketi.pdf

68) https://matsne.gov.ge

69) http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&adgi=565&title=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%

A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

70) https://www.radiotavisupleba.ge/a/baqo-tbilisi-karsis-rkinigza-oficialurad-gaikhsna/28824412.html

71) https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1207454

72) https://tradingeconomics.com/turkey/unemployment-rate

73) https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

74) https://www.kommersant.ru/doc/244002

75) https://tradingeconomics.com/turkey/inflation-cpi

76) http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&adgi=564&title=%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%20-%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%96

%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98

77) George B. Hewitt: The Abkhasians. A Handbook. Peoples of the Caucasus Handbooks. Basingstoke 1999, გვ. 208.

78) Thomas Frear: The foreign policy options of a small unrecognised state: the case of Abkhazia, in: Caucasus Survey, 2/2014, გვ. 83–307, აქ გვ. 94–95.